

საკანონმდებლო წინადადება
(წარმოდგენილია საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის
105-ე მუხლის გათვალისწინებით)

ცვლილების სახეობა: სახელმწიფო ჯილდოების და პრემიების შესახებ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ საკითხი - ინოვაციების და ტექნოლოგიური სიახლეების, ინფორმაციული ტექნოლოგიის შექმნა/ დანერგვის კუთხით სახელმწიფო პრემიის დაწესება. კანონის პროექტის მიღების დასაბუთება: სახელმწიფო ჯილდოების და პრემიების შესახებ საქართველოს კანონის და საქართველოს პრეზიდენტის ვებ გვერდის¹ თანახმად, საქართველოს სახელმწიფო ჯილდოები (ორდენები და მედლები) დაწესებულია იმ პირთა დასაჯილდოებლად, რომლებმაც სამშობლოს დაცვისა და ერთიანობისათვის ბრძოლებში გმირობა და მამაცობა გამოიჩინეს, განსაკუთრებული წვლილი შეიტანეს დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობაში, ქართული კულტურისა და მეცნიერების განვითარებაში, აღიარებასა და პოპულარიზაციაში. სახელმწიფო ჯილდოებით დაჯილდოება

საქართველოს ეროვნული გმირის ორდენი	მედალი „სამოქალაქო თავდადებისათვის“
წმინდა გიორგის სახელობის გამარჯვების ორდენი	მედალი „მხედრული მამაცობისათვის“
დავით აღმაშენებლის ორდენი	მედალი „საბრძოლო დამსახურებისათვის“
თამარ მეფის ორდენი	ღირსების მედალი
ბრწყინვალეების ორდენი	
წმინდა ნიკოლოზის ორდენი	
ოქროს საწმისის ორდენი	
ვახტანგ გორგასლის ორდენი -I, II, III ხარისხის	


ღირსების ორდენი

ხდება „საქართველოს სახელმწიფო ჯილდოებისა და პრემიების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. ხოლო, საქართველოს სახელმწიფო პრემიის² სახეობებია:

ა) შოთა რუსთაველის სახელობის პრემია - გაიცემა ქვემოაღნიშნულ დარგებში უმნიშვნელოვანესი ნაწარმოების შექმნისათვის, რომელმაც მხატვრული

¹ <https://president.ge/index.php?m=205>

² 1980 წელს დაწესებული სახელმწიფო პრემია ეროვნულ პრემიად გადაკეთდა, ხოლო რუსთაველის პრემია, რომელიც 1964 წლიდან გაიცემა. პრემია ემსახურება საქართველოს ხელოვნებისა და მეცნიერების შემდგომი განვითარებისა და სტიმულირების, შემოქმედთა და მეცნიერთა ღვაწლის აღიარებისა და დაფასების მიზანს



ღირსებებით საერთო ეროვნული აღიარება მოიპოვა და რომელიც განმსჭვალულია პატრიოტიზმის, თავისუფლებისა და ჰუმანიზმის ზოგადსაკაცობრიო იდეალებით:

- ლიტერატურა
- მუსიკა
- კინოხელოვნება
- თეატრალური ხელოვნება
- სახვითი ხელოვნება
- არქიტექტურა

ბ) საქართველოს ეროვნული პრემია - გაიცემა ქვემოაღნიშნულ დარგებში შესრულებული ნაშრომისათვის ან ნაშრომთა ციკლისათვის, რომელმაც საყოველთაო აღიარება მოიპოვა და განსაკუთრებული წვლილი შეიტანა არა მარტო ქართული მეცნიერების განვითარებაში, არამედ მსოფლიოს სულიერ, სოციალურ ან/და ეკონომიკურ განვითარებაში:

- საბუნებისმეტყველო მეცნიერება,
- ჰუმანიტარული მეცნიერება,
- სოციალური მეცნიერება,
- პოლიტიკური მეცნიერება,
- ეკონომიკური მეცნიერება,
- იურიდიული მეცნიერება,
- სამედიცინო მეცნიერება,
- სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერება
- საინჟინრო მეცნიერება.

გ) ვაჟა-ფშაველას სახელობის პრემია - გაიცემა ქვემოაღნიშნული დარგში შექმნილი უმნიშვნელოვანესი ლიტერატურული ნაწარმოებისათვის, რომელმაც მხატვრული ღირსებებით საერთო ეროვნული აღიარება მოიპოვა და რომელიც განმსჭვალულია პატრიოტიზმის, თავისუფლებისა და ჰუმანიზმის ზოგადსაკაცობრიო იდეალებით:

- უმნიშვნელოვანესი პროზაული ნაწარმოები,
- პოეტური ნაწარმოები
- პუბლიცისტური ნაწარმოები


სახელმწიფო პრემიების მოსაპოვებლად კონკურსის გამოცხადება და მათი გაცემა ხდება „საქართველოს სახელმწიფო ჯილდოებისა და პრემიების შესახებ“ საქართველოს კანონის და საქართველოს პრეზიდენტის 2019 წლის 17 იანვრის N27 ბრძანებულების შესაბამისად. საგულისხმოა, რომ ჩვენ ვცხოვრობთ ეპოქაში, რა დროსაც ნებისმიერი საქმიანობის სფერო – განათლება, ზიზნესი, თუნდაც ადამიანური ურთიერთობები, – ყველაფერი ტექნოლოგიებზე გადის. ის ეხმარა სახელმწიფოს და მის მოქალაქეებს გაზარდოს პროდუქტიულობა, შეამციროს ხარჯები, გააუმჯობესოს საქონლისა და სერვისების ხარისხი და გააძლიეროს საკომუნიკაციო და სატრანსპორტო სისტემები. საქართველოს ინოვაციების დანერგვისა და განვითარების უსაზღვრო პოტენციალი აქვს. განვითარებისკენ სწრაფვა, გამორჩეული ზიზნეს ეკოსისტემის შექმნა, სადაც პროგრესის მიღწევა, უბრალოდ გარდაუვალი იქნება - ეს უნდა იყოს ქვეყნის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა. ამასთან, საქართველოს თუ სურს, რომ ეკონომიკურად განვითარდეს ტექნოლოგიური პროგრესი პრიორიტეტობა უნდა გამოკვეთოს და წახალისოს. სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს წარმატებული ნოვატორების აღიარების პროცესს, მოახდინოს მეტი ინოვაციის სტიმულირება, როგორც საჯარო ისე კერძო სექტორის ორგანიზაციებში. ინოვაციის ხელშეწყობისთვის ყურადღება უნდა მიექცეს, როგორც თეორიულ/ გამოგონებლურ, ასევე პრაქტიკულ (იმპლემენტაცია) ნაწილს. სახელმწიფოს მხრიდან კი ხსენებული პროცესის ცალკეულად წახალისება (დაჯილდოების და პრემიების დაწესების მხრივ), მნიშვნელოვან როლს თამაშობს მოცემული მიმართულების და დარგის პოპულარიზაციის საქმეში. ეკონომიკური ზრდა დამოკიდებულია იმ ცოდნის შექმნის,

დაგროვებასა და გავრცელებაზე, რომელსაც ინოვაციები უზრუნველყოფს. სწორედ, რომ თანამედროვე ტექნოლოგიების უქონლობა გახდა ის გამოწვევა, რომლის გადაჭრა გამოიწვევს ჯანსაღ კონკურენტუნარიანობას, მწარმოებლურობის ზრდას და სამუშაო ადგილების შექმნას.

⇒ ჩემს ინიციატივას სწორედ, რომ წარმოადგენს ინოვაციების და ტექნოლოგიური სიახლეების შექმნის/ დანერგვის/ გავრცელების მხრივ ცალკეულად ჯილდოს დაწესება ან სახელმწიფო პრემიის (უპირატესია ის ფორმა, რომელიც დაფინანსების ფაქტორსაც ითვალისწინებს), რომელიც რომელიმე გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწის სახელს ან მეცნიერის სახელს ატარებს (მაგ.: ისტორიული პერსონებიდან - რომლებიც გამოირჩეოდნენ საქართველოში ან ემიგრაციაში ყოფნისას სხვადასხვა ტექნოლოგიური სიახლეების დანერგვით, ასევე, იმ ქართველი მეცნიერებით, რომლებიც თანამედროვე ეპოქაში მოღვაწეობენ - რა თქმა უნდა გამოვყოფდი ნიკო ნიკოლაძეს - რომელმაც თავისი ცოდნა და მოღვაწეობა სრულად საქართველოს სახელმწიფოს შექმნას და განვითარებას მიუზღვნა). შესაბამისად, უნდა განხორციელდეს სახელმწიფო ჯილდოების და პრემიების შესახებ საქართველოს კანონის მე-2 „ა“ ქვეპუნქტში ცვლილებების მოხდენა ან მე-2 პრიმა მუხლისთვის „დ“ ქვეპუნქტის დამატება შემდეგი ფორმით.

საკანონმდებლო წინადადების ავტორი/ ინიციატორი
ნიკოლოზ ნიკოლაძე პ/ნ [REDACTED] მობ.: [REDACTED]
ელ.ფოსტა [REDACTED] რეგისტრაციის
ადგილი: [REDACTED]

10/03/2024





საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია

№9184
19 / დეკემბერი / 2023 წ.

ნიკოლოზ ნიკოლაძეს

ელექტრონული ფოსტა:
[REDACTED]

ბატონო ნიკოლოზ,

საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციაში შემოსული თქვენი 2023 წლის 15 დეკემბრის N1/15674 განცხადების პასუხად ჩვენი კომპეტენციის ფარგლებში გაცნობებთ, რომ თქვენ მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ სსიპ - საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდზე.
(იხ. ბმული <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/3925611?publication=3>).

პატივისცემით,

პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის მოადგილე
თეა დარსანია




ბისტორია

ნიკო ნიკოლაძე – ადამიანი, რომელმაც გაუსწრო დროს!

6 years ago



პუბლიცისტი, კრიტიკოსი, საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწე – ეს ნიკო ნიკოლაძის საქმიანობათა არასრული ჩამონათვალია. როგორც მკვლევარი დალი ჩიკვილაძე ამბობს, ის იყო მამულიშვილი, რომელიც თავისი აზროვნებითა და საქმისადმი მიდგომით ნამდვილად უსწრებდა დროს. ნიკო ნიკოლაძე დაიბადა ქუთაისში, 1843 წლის 27 სექტემბერს, იაკობ ნიკოლაძის ოჯახში. და-ძმას შორის ყველაზე უფროსი იყო.



ნიკო ნიკოლაძე მშობლებთან და და-ძმასთან ერთად (პროექტი „ციფრული ფოტომატიანე“)

ნიკოს მამამ კარგად იცოდა განათლების ფასი. იაკობ ნიკოლაძე ქუთაისში ერთ-ერთი პირველი იყო, ვინც ალებ-მიცემობის საქმეს მიჰყო ხელი: ჯერ ხე-ტყით ვაჭრობა დაუწყო, შემდეგ, ქალაქის ხელმძღვანელობის დაკვეთით, აშენებდა საცხოვრებელ სახლებს. მოგვიანებით, ფოთიდან ხის კუნძებს უცხოელებზე ყიდდა. იყო ერთ-ერთი პირველი კომერსანტიც, ერთხანს გერმანიაში წასულა ზღვით და ქუთაისში გასაყიდად ქსოვილები ჩამოუტანია.

ნიკო ნიკოლაძე ქუთაისის გიმნაზიაში სწავლობდა. მამა თავის თანაშემწედ ზრდიდა და შესაბამისად, ტექნიკურ განათლებას იღებდა.

„შე-6 კლასში იყო, მამას ფოთში გაჰყვა საქმეზე, იქ კოლომ უკბინა და ციება დაემართა: მთელი წელი მკურნალობდა სახლში. გიმნაზიაში არ დადიოდა, თუმცა, ძალიან ბევრს კითხულობდა და მეცადინეობდა. ეს იყო 1860 წელი. სწორედ მაშინ გააგზავნა 2 ფელეტონი თბილისში, ჟურნალ „ცისკარში“, ფსევდონიმით „მეკენჭე“. ივანე კერესელიძემ ორივე ტექსტი გამოაქვეყნა, ისე, რომ არც კი იცოდა, ვინ იყო მისი ავტორი. ეს იყო, ფაქტობრივად, ნიკოს დებიუტი. მოგვიანებით, როცა უკვე ცნობილი პუბლიცისტი და მოღვაწე გახდა, ამბობდა, **ყველაზე მეტად, სულით და გულით ჟურნალისტობა მინდა, მაგრამ ჩემი ეს პროფესია დღეს არავის სჭირდება. როგორც ჩანს, ან ძალიან ადრე დავიბადე, ან ძალიან დავიგვიანეო**“.

ნიკო ნიკოლაძემ დაარწმუნა მამა, რომ გიმნაზიის ჰუმანიტარული მიმართულებით დამთავრების და შემდეგ, საინჟინრო საქმის შესწავლის ნაცვლად, პეტერბურგში, იურიდიულ ფაკულტეტზე შესვლის ნება მიეცა. ასეც მოხდა – 1861 წელს, 2 მეგობართან ერთად, ქუთაისიდან პეტერბურგში გაემგზავრა.

როგორც მოგონებებში წერს, რუსეთის იმდროინდელ დედაქალაქში, დაახლოებით სამ თვეში, 6 მაისს, გიორგობის მზიან დღეს ჩავიდა.

„1861 წლის სექტემბრის შუა რიცხვებში პეტერბურგში არეულობა დაიწყო. სტუდენტები უნივერსიტეტში მატრიკულების შემოღების წესს აპროტესტებდნენ. იმ დროს უმაღლეს სასწავლებელში ლექციებზე დასასწრებად სტუდენტის სტატუსი აუცილებელი არ იყო, ყველას შეეძლო შესვლა. ამიტომ, აუდიტორიებში ე.წ. ბუნტარებიც ხვდებოდნენ, რომლებიც თავისუფლებისკენ ისწრაფოდნენ, თავიანთი იდეალების შესახებ საუბრობდნენ და ამით სასწავლო პროცესი ფერხდებოდა. უმაღლესი სასწავლებლის ადმინისტრაციამ გადაწყვიტა, უნივერსიტეტში ახალი წესი შემოეღო, ვისაც მატრიკული არ ექნებოდა, შენობაში არ დაეშვათ. სტუდენტებმა, პროტესტის ნიშნად, ნევის პროსპექტზე 3 დღიანი მანიფესტაცია გამართეს რომელშიც, 12 ქართველი და მათ შორის, ნიკო ნიკოლაძე მონაწილეობდა. ამ საქციელისთვის დემონსტრანტებს ჯერ პეტერბურგში, პეტრე-პავლეს ციხეში, შემდეგ კი, კრონშტადტის ციხეში უკრეს თავი.

ნიკო ნიკოლაძე კრონშტადტის ციხეში ქართველ და რუს სტუდენტებთან ერთად, 1861 წელი (პროექტი „ციფრული ფოტომატიანე“)

როგორც ნიკო იხსენებს, ადგილობრივებმა ძალიან კარგად მიგვიღეს, გემიდან გადმოსულებს ქალებმა ყვავილები და ნამცხვრები მოგვართვესო. საერთოდ, ამ პერიოდს ნიკოლაძე საკმაოდ ნაყოფიერს უწოდებს, რადგან, იქ სტუდენტებთან ერთად, ლექტორებიც გადაასახლეს და სწორედ იქ გავიგე, რა არის თავისუფლება და როგორ უნდა იბრძოლო მის მოსაპოვებლადო. ამ დროს რუსეთის იმპერატორი ალექსანდრე II

პეტერბურგში არ იყო. ეს ამბავი რომ შეიტყო, ადმინისტრაციას შემოუთვალა, სტუდენტები უმაღლეს სასწავლებელში დაებრუნებინათ, ოღონდ მშობლების თავდებობის გარანტიით. უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა ასეც მოიქცა. მაგრამ ნიკომ გადაწყვიტა, მამისთვის ეს ამბავი არ შეეტყობინებინა. შიშობდა, რომ პეტერბურგში აღარ გააჩერებდა. ამიტომ, უნივერსიტეტში სწავლას თავი დაანება, სტუდენტის ფორმა გაიხადა და საცხოვრებლად ქალაქის გარეუბანში, აკაკი წერეთელთან გადავიდა. ყველგან ქართული ჩოხით დადიოდა. დაიწყო „სავრემენიკის“ კითხვა, რომელიც იმ დროს ძალიან მნიშვნელოვანი გამოცემა იყო. თანამშრომლობდა კიდევ ამ გამოცემასთან. მოგვიანებით, მოგონებებში წერდა, რომ ეს პერიოდი მისთვის უდიდესი წრთობა იყო. ამ დროისთვის *ნიკო ნიკოლაძე ფლობდა ფრანგულ, რუსულ, ენებს. მოგვიანებით შეისწავლა ინგლისური, იტალიური და გერმანული.* დეკემბერში, შობის წინა დღეებში, სახლში ორმა უცნობმა ქალბატონმა მიაკითხა და 2 დღით, სადღესასწაულო კარნავალისთვის, ქართული ჩოხა სთხოვა. სამოსი მართლაც დათქმულ დროს დაუბრუნეს და ფილოსოფოსის, რევოლუციონერ-დემოკრატისა და მწერლის, ნიკოლოზ ჩერნიშევსკის ოჯახში ჩაიხუ დაპატიჟეს. აღმოჩნდა, რომ ამ ქალბატონებიდან ერთი ოლგა სოკრატეს ასული, ჩერნიშევსკის მეუღლე, მეორე კი მისი და იყო. მალე მათ იმდენად დაუახლოვდა, რომ 1862 წლის ზაფხული ამ ოჯახის გვერდით გაატარა. როგორც თავად იხსენებს, უსმენდა ჩერნიშევსკის ლექციებს, საუბრებს თავისუფლებაზე, იღებდა განათლებას. შემოდგომაზე ნიკო პეტერბურგში დაბრუნდა. ჩერნიშევსკი დააპატიმრეს და სიკვდილით დასჯა მიუსაჯეს, როგორც თავისუფლების მოთხოვნით ახალგაზრდების „გამრყვნელს“. მოგვიანებით, სასჯელი შეუცვალეს და პეტერბურგიდან გაასახელეს. ამის შემდეგ, ნიკო პეტერბურგში დიდხანს აღარ გაჩერებულა. 1863 წელს საქართველოში დაბრუნდა“.



ნიკო ნიკოლაძე, 1864 წელი (პროექტი „ციფრული ფოტომატიანე“)

თუმცა, დიდხანს არც აქ გაჩერებულა. სწავლა პარიზში, სორბონას უნივერსიტეტში განაგრძო. იქ ძალიან ბევრს შრომობდა, სწავლობდა, კითხულობდა, ეცნობოდა ფრანგულ სოციალიზმს. თუმცა, დიდად მოხიბლული არ დარჩენილა. მოგვიანებით წერდა, დიდი არაფერი ყოფილა ეს „ფრანციცული სოციალიზმი“, ვზივარ, 18 საათს ვმუშაობ ბიბლიოთეკაში, ძალიან ბევრი შრომა მიწევსო.

მკვლევარი ზაზა აბზიანიძე წერს, რომ ნიკო ნიკოლაძე პარიზში ბევრ საინტერესო ადამიანს შეხვდა. მას ნაცნობობა, თანამშრომლობა თუ მიმოწერა აკავშირებდა ჯუზეპე გარიბალდისთან, ვიქტორ ჰიუგოსთან, ალფონს დოდესთან, ემილ ზოლასთან, პოლ

ლაფარგთან. ამავე პერიოდში, შეხვდა კარლ მარქსს, რომელმაც ნიკოლაძეს შესთავაზა, ამიერკავკასიაში პირველი ინტერნაციონალის წარმომადგენელი ყოფილიყო, რაზეც დელიკატური უარი მიიღო. როგორც ნიკოლაძე იგონებს, მას არ ესმოდა, ვერ წარმოედგინა სამშობლოში გაეტარებინა მარქსის იდეები და ასეთ რამეს ვერაფრით დაეთანხმებოდა.

დალი ჩიკვილაძე: ნიკო ნიკოლაძე მოდას აყოლილი კაცი არ იყო. მაშინ მარქსს სურდა, კაპიტალისტები მოესპო და პროლეტარიატის დიქტატურა დაემყარებინა. ნიკომ გაიაზრა, ყველაფერი აწონ-დანონა და უარის თქმა გადაწყვიტა, რადგან მის ქჟუა-გონებაში ისეთი რამ ვერ ჩაჯდებოდა, რაც პროგრესული და თავისი ქვეყნისთვის სასიკეთო არ იქნებოდა, როგორი პოპულარულიც არ უნდა ყოფილიყო კონკრეტული იდეა. ზოგადად, მიმაჩნია, რომ ნიკო ნიკოლაძე ერთ-ერთია იმ ქართველ მოღვაწეთაგან, რომლის სახელიც უკვდავების ღირსია. ეს შეფასება ნამდვილად არ იქნება გადაჭარბებული: *იყო თავისი დროის მოწინავე აზროვნების ადამიანი, რომელმაც მიღებული განათლების, ნიჭისა და გამჭრიახობის წყალობით, ევროპული ცხოვრების ბევრი საუკეთესო მაგალითი შეისწავლა და ცდილობდა, შესაძლებლობების ფარგლებში, საქართველოში დაემკვიდრებინა. მან ევროპული ცხოვრების წესი თუ ტექნიკის მიღწევა გადმოეტანა თავის ქვეყანაში, ოღონდ მხოლოდ ის, რომელიც პროგრესული იყო და იცოდა, საქართველოს სასიკეთოდ წაადგებოდა.*




ნიკო ნიკოლაძე (პროექტი „ციფრული ფოტომატიანე“)

ნიკო ნიკოლაძე საფრანგეთიდან შვეიცარიაში გაემგზავრა. ამბობდა, **„უფრო მეტად მაინტერესებს შვეიცარია, რესურსებით ასეთი ღარიბი ქვეყანა რატომ არის მდიდარი, მთიანი და რესურსებით მდიდარი საქართველო კი რატომ არის ასეთი ღატაკიო**. წავიდა კიდეც და ჟენევისა და ციურიხის უნივერსიტეტებში სწავლობდა. იქ დაიცვა სადოქტორო დისერტაცია. აი, ასეთი კაცი იყო ნიკო ნიკოლაძე“. (ალ. ელისაშვილი, ლექცია: ქალაქი გუშინ, დღეს, ხვალ. Art Area 2015).

ნიკო ნიკოლაძე იყო პირველი ქართველი, ვინც სადოქტორო დისერტაცია ევროპაში დაიცვა. ჟენევაში 1868 წელს გამოქვეყნებული მისი სადიპლომო ნაშრომი, როგორც

მაშინ „სადოქტოროს“ უწოდებდნენ, „განიარალება და მისი ეკონომიკურ-სოციალური შედეგები“ დღესაც დიდ ინტერესს იწვევს. აღსანიშნავია, რომ მოგვიანებით (1873 წელს), მისი რჩევით, ჟენევაში დაარსდა ქართული საგანმანათლებლო საზოგადოება „უღელი“. მანამდე, პარიზში ცხოვრებისას (1864) მე-19 საუკუნის ერთ-ერთი რუსი მოაზროვნის გერცენის თხოვნით წერდა წერილებს „კოლოკოლისთვის“. ეს იყო არალეგალური გაზეთი, რომელიც გამოდიოდა ინგლისში და ხელნაწერის სახით ვრცელდებოდა რუსეთში.

1869 წლის ბოლოს ნიკო ნიკოლაძე საქართველოში დაბრუნდა და სურდა, მთელი ცოდნა და გამოცდილება საკუთარი ქვეყნისთვის გამოეყენებინა. ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი, მისთვის, განათლება იყო. ძალიან წუხდა, რომ ქართული საზოგადოების უმრავლესობას განათლება არ ჰქონდა. ამბობდა, უცოდინრობით არაფერი გამოვა, ცოდნის გარეშე მუდამ მონა იქნები, ვერ იარსებებ, ცოდნით კი იმას დანერგავ, რაც შემოსავალს და პროგრესს გააჩენსო. ამიტომ, ყველანაირად უწყობდა ხელს ქვეყანაში განათლების გავრცელებას და ეს არ ეხებოდა მხოლოდ მდიდარ ფენას ან მამაკაცებს. **1872 წელს თავისი დები ოლიმპიადა და ეფროსინე, ოლიკო გურამიშვილი (შემდგომში ნიკო ნიკოლაძის მეუღლე) და ორი დეიდაშვილი ბიჭურად ჩაცმულები, გემით შვეიცარიაში გააპარა. ნიკოს სურდა მათ განათლება მიეღოთ.** ეს ის პერიოდია, როდესაც ქალები ან პედაგოგიურ, ან გინეკოლოგიურ ფაკულტეტზე სწავლობენ. დანარჩენი მათთვის ხელმიუწვდომელია, მით უმეტეს საზღვარგარეთ სწავლა. ნიკო ნიკოლაძის ასეთ საქციელს უარყოფითი რეაქციები მოჰყვა თავად-აზნაურობის მხრიდან, მათთვის წარმოუდგენელი იყო ქალებისთვის საზღვარგარეთ სწავლის ნება მიეცათ.



ნიკო ნიკოლაძე (პროექტი „ციფრული ფოტომატიანე“)

1870-იან წლებში ნიკო ნიკოლაძე ძირითადად საქართველოშია და აქტიურ მუნიციპალურ და საზოგადოებრივ საქმიანობას ეწევა. მან წამოაყენა რამდენიმე იდეა, განახორციელა არაერთი ისეთი პროექტი, რომელიც გარდამტეხი გახდა საქართველოსთვის.

ნიკო ნიკოლაძე აქტიურად უჭერდა მხარს თბილისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკი შექმნას. მართალია, ეს დიმიტრი ყიფიანის იდეა იყო, მაგრამ ისიც არანაკლებ აქტიურად ემხრობოდა ამ აზრს. იმ დროს, დუშეთში მომრიგებელ მოსამართლედ წასულ ილია ჭავჭავაძეს რამდენჯერმე ჩააკითხა თხოვნით, დაბრუნებულიყო დედაქალაქში და ბანკისთვის ეხელმძღვანელა. ბოლოს, როგორც იქნა, დაითანხმა ილია. საერთოდ, ნიკო ნიკოლაძე ილიას დიდი თანამოაზრე და მეგობარი იყო. თუმცა, რიგ საკითხებზე მათი მოსაზრებები განსხვავდებოდა.


მეორე საკითხი, რაც ნიკოლაძის აზრით, ძალიან მნიშვნელოვანი იყო, გახლდათ ვაჭრობა. ქართველ ახალგაზრდებს მოუწოდებდა ევაჭრათ, ოღონდ, კეთილსინდისიერად. გლეხებს ეხვეწებოდა, ჩამოეტანათ ქალაქში პროდუქტი, თუ ღვინო ღირდა 1 კაპიკი, 10 კაპიკად მიეყიდათ ადგილობრივებისთვის და არა 1 მანეთად, როგორც ამას სირაჯები აკეთებდნენ. მაგრამ მაშინ ვაჭრობას ქართველების უმეტესობა არ კადრულობდა, ეთაკილებოდა. ნიკო ნიკოლაძეს კი სამარცხვინოდ ვაჭრობის მტაცებლური მეთოდები მიაჩნდა. **ფიქრობდა, რომ ვაჭრობისა და მრეწველობის განვითარებით, შესაძლებელი იყო კაპიტალიზმის დანერგვა. ევროპაში ცხოვრებისას მან**

კარგად დაინახა, რა როლს ასრულებდა ქვეყნის განვითარებასა და წინსვლაში საბანკო საქმე და ვაჭრობა. სწორედ ამიტომ სურდა, საქართველოს იმავე გზით განვითარებულიყო.

მომდევნო საკითხი, რომლისთვისაც ნიკო ნიკოლაძე იბრძოდა, იყო ერობა, ადგილობრივი მმართველობა. ფაქტობრივად, იყო პირველი, ვინც ერობის, ანუ თვითმმართველობის შექმნის აუცილებლობაზე საუბრობდა. მას მიაჩნდა, რომ თემს უნდა აერჩია განათლებული, ხელმძღვანელი წევრები, რომლებსაც გადაუხდიდა ხელფასს და მათ დააკისრებდა ხალხის სამსახურს, ხოლო თუ ამ მოვალეობას ვერ შეასრულებდნენ, გადააყენებდნენ და სხვას აირჩევდნენ. სხვათაშორის, ნიკო ნიკოლაძეს თვლიდა, რომ თვითმმართველობის შემოღება უნდა ეთხოვათ 1871 წელს აქ ჩამოსული იმპერატორის, ალექსანდრე II-ისათვის. იმ დროს ეს არ მოხერხდა, თუმცა, 1913 წელს თავად-აზნაურებმა სწორედ ამ თხოვნით მიმართეს მაშინდელ იმპერატორს, ნიკოლოზ II-ს.

მეოთხე, რაც ასევე ძალიან მნიშვნელოვნად მიაჩნდა, იყო უნივერსიტეტის გახსნა, თუმცა, მისი აზრით, ეს უნდა ყოფილიყო ტექნიკური უნივერსიტეტი. თვლიდა, რომ კლასიკური განათლება კი არა, ხალხს წინსვლისთვის, რეალური განათლება და შესაბამისი სკოლები სჭირდებოდა. საბოლოოდ, გადაწყდა, რომ უნდა გახსნილიყო ჰუმანიტარული უნივერსიტეტი, რაც აბსოლუტურად განსხვავდებოდა მისი მოსაზრებისგან. საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, ხელი არ შეუშლია ამ იდეისთვის, პირიქით, თავის ჟურნალში დაბეჭდა სტატია „რა გვეჭირვება“ გიორგი წერეთლის ავტორობით, რომელიც სხვათაშორის, კლასიკური, ჰუმანიტარული განათლების მომხრე იყო.

ზოგადად, ნიკო ნიკოლაძე თვლიდა, რომ პრესას შეეძლო დიდი გარდატეხა შეეტანა საზოგადოების განათლებასა და განვითარებაში. 1870-იან წლებში ის თანამშრომლობდა გაზეთ „დროებასთან“, 1871 წელს კი დააარსა ჟურნალის „კრებული“, რომლის ფაქტობრივი რედაქტორი თავად, ხელმომწერი რედაქტორი კი გიორგი წერეთელი იყო.



ნიკო ნიკოლაძე, 1872 წელი (პროექტი „ციფრული ფოტომატიანე“)

ამავე პერიოდში, ნიკო ნიკოლაძე ქვეყნის ფარგლებს გარეთაც მოღვაწეობს. **მან თავისი წვლილი შეიტანა პარიზში, ქუჩის განათების საქმეში.** ებრაელ ნავთობის მაგნატ როტშილდებს (იმ დროს რუსეთში ებრაელებს არ ჰქონდათ საქმის წარმოების უფლება,

ამიტომ, ფაქტობრივად, ნიკო განაგებდა მათ საქმეებს) სთხოვა იმ მეცნიერის დაფინანსება, რომელსაც წყალვარდნილზე ელექტროსადგურის მოწყობის იდეა ჰქონდა. როტშილდებმა ლაბორატორია გააკეთეს. მაშინ პარიზის მაცხოვრებლებს ვერ წარმოედგინათ, რომ სადღაც, წყლისგან ელექტროენერჯის გამომუშავებით, კილომეტრების მოშორებით, სადენის საშუალებით შესაძლებელი იყო ქუჩის განათება.

„კიდევ ერთი საკითხი, რომელიც ნიკო ნიკოლაძის სახელს უკავშირდება, ტყიბულის ქვანახშირის საბადოს განვითარებაა. მისი წილის მფლობელი მამის გარდაცვალების შემდეგ გახდა. იაკობმა ეს მიწა სასოფლო სამეურნეო დანიშნულებით გამოსაყენებლად იყიდა და აღმოჩნდა „შავი ქვის“ საბადო. ნიკო ნიკოლაძე წავიდა პარიზში, რომ უცხოელ ფინანსისტებთან ერთად დეტალურად შეესწავლა ეს საქმე. 1880-იან წლებში ევროპელები ჩამოვიდნენ საქართველოში და დაიწყეს ქვანახშირის დამუშავება. ამ საქმეში გლეხობაც ჩაება, თუმცა, საქმეს უგზობობა ართულებდა. *წელს ქუთაისის ქალაქის საბჭომ ტყიბულში გასაყვანი რკინიგზის რწმუნებულად (ლობისტად) ნიკო ნიკოლაძე აირჩია და საბოლოოდ, რკინიგზა ამოქმედდა 1887 წელს. ორი წლის შემდეგ კი შეიქმნა საზოგადოება „ნახშირი“, რომლის ერთ-ერთი დამფუძნებელი ნიკო ნიკოლაძეც იყო.*“

ნიკო ნიკოლაძე საზოგადო მოღვაწე დავით გაურამიშვილთან ერთად (პროექტი „ციფრული ფოტომატიანე“)

ამ პროცესების პარალელურად, ნიკო ნიკოლაძემ გადასახლებაში ყოფნაც მოასწრო. მას ევროპიდან საქართველოში დაბრუნებისთანავე სურდა, რუსული გაზეთი გაეკეთებინა. როგორც ამბობენ, არა იმიტომ, რომ რუსეთზე დიდი წარმოდგენა ჰქონდა, არამედ თვლიდა, რომ ქართულ გამოცემებს, მხოლოდ ქართველები თუ წაიკითხავენ, რუსულ ენაზე კი ევროპასაც მივაწვდენტ ხმასო. ოცნება 1878 წელს აისრულა და დაიწყო „ობზორის“ გამოცემა. საკმაოდ მწვავე და კრიტიკულ წერილებს აქვეყნებდა მაშინდელ

სასამართლო მოხელეებსა და ქალაქის ხელმძღვანელობაზე. წერდა, რომ არაფრის მაქნისები არ იყვნენ და ქვეყნისა და ქალაქისათვის არაფერს აკეთებდნენ. ამის გამო სასამართლოში უჩივლეს, პროცესი ორდღიანი იყო და ისეთი სიტყვა წარმოსთქვა, რომ მოგვიანებით ის თავისსავე გამოცემაში დაბეჭდა. ნიკოს კი მხოლოდ ჯარიმა დააკისრეს. კრიტიკული წერილებისა და მოსაზრებების გამო, „ობზორის“ წინააღმდეგ სასამართლოში მეორედ 1880 წელს იჩივლეს. მის პროცესზე დასასწრებად, რუსეთიდან ახალგაზრდა ხალხოსნების ლიდერი ვერა ზაზულიჩი ჩამოვიდა. აი, მაშინ კი 5 წელი მიუსაჯეს და თბილისიდან სტავროპოლში გაასახლეს. იმჟამად, სამხედრო საქმეს პეტრე მელიქოვი ხელმძღვანელობდა, რომელიც რუსეთში მოღვაწეობდა და თურქეთთან ომის დროს დიდი წარმატებები ჰქონდა მოპოვებული. მელიქოვი ნიკოლაძეს ქუთაისის გიმნაზიიდან იცნობდა. როდესაც ნიკოს გადასახლების ამბავი გაიგო, წაიყვანა პეტერბურგში, რათა იქ მოეხადა სასჯელი. თანაც, რკინიგზის გაყვანის საქმეში ძალიან სჭირდებოდა მისი დახმარება. ამ დროს ბაქოში ნავთობს ძმები ნობელებისა და როტშილდების კორპორაცია ცალ-ცალკე მოიპოვებდა. მათ სურდათ, გაეყვანათ მილი ბათუმამდე და ასე გაეტანათ ბაქოდან ნავთობი. ნიკო ნიკოლაძე შეუწინააღმდეგა ამ მოსაზრებას, მთავრობა და კორპორაციის ხელმძღვანელები დაარწმუნა, რომ უმჯობესი იყო, ბაქოდან ბათუმის გავლით გაეყვანათ რკინიგზა. მისი აზრით, თუ ნავთობს მილით გადაიტანდნენ, მთავრობა ვერ დაადგენდა ზუსტად, რა ოდენობის ნედლეული გადიოდა ქვეყნიდან და ვერ განსაზღვრავდნენ ზუსტ გადასახადს. ასევე, ვერ გაარკვევდნენ მენარმეები, ვის რამდენი ნავთობი გაჰქონდა და რა მოგება ეკუთნოდა. საბოლოოდ, ნიკომ დაასაბუთა თავისი მოსაზრებები და გადაწყდა ბაქოდან ბათუმის გავლით რკინიგზის გაყვანა. **აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ნიკოლაძის ხელმძღვანელობით, 1870-იანი წლების პირველ ნახევარში ფოთიდან თბილისამდე სარკინიგზო გზა უკვე გაკეთებულია.** ამის გამო, სპეციალური ოქროს მედლითაც დააჯილდოვეს, რომელზეც მისი სახე და სახელი და გვარია გამოსახული. მაგრამ საქმე ის იყო, რომ არ არსებობდა წიფის გვირაბი. სურამიდან ცხენებით გადაჰქონდათ ვაგონები და შემდეგ ხაშურიდან გრძელდებოდა სარკინიგზო გზა. ნიკო ნიკოლაძემ ბაქოდან ბათუმის გავლით რკინიგზის მშენებლობით ისარგებლა და მთავრობას გამოაყოფინა ფული წიფის გვირაბში სარკინიგზო გზის გასაყვანად. შედეგად, რკინიგზა უკვე ბათუმიდან თბილისამდე იყო. ეს კი სწორედ ნიკოლაძის გამჭრიახობისა და ქკუა-გონებისა დამსახურებით მოხდა. ნიკოს გადასახლების ვადა 1885 წელს ამოიწურა და პეტერბურგიდან თბილისში მაშინვე დაბრუნდა.

ნიკო ნიკოლაძე (პროექტი „ციფრული ფოტომატიანე“)

ნიკო ნიკოლაძე ერობის იდეის გარდა, მაშინდელ თვითმმართველობის ორგანოებში პრაქტიკულ საქმიანობას ეწოდა. 1878-1892 წლებში იყო ქალაქის საბჭოს, დღევანდელი თბილისის საკრებულოს ოპოზიციონერი წევრი (არჩეული იყო რამდენჯერმე). ამ დროს, ქალაქის თავი ალექსანდრე მათინოვი გახლდათ. როგორც ალექსანდრე ელისაშვილი ამბობს, ეს იყო ყველაზე დიდებული ხანა თბილისის მუნიციპალურ ისტორიაში. უმრავლესობას შეადგენდნენ შეძლებული სომეხი, ოპოზიციას კი ქართველი და რუსი ხმოსნები (წევრები).


„ნიკო ნიკოლაძე იყო იდეების გენერატორი. არ ყოფილა არც ერთი მუნიციპალური პროექტი, მისი ავტორობით ან პრაქტიკული მხარდაჭერით რომ არ განხორციელებულიყო. მის გარეშე ყველა იდეა ჩასავარდნად იყო განწირული. საკრებულოში მოღვაწეობის დროს ნიკო ნიკოლაძეს ჰქონდა იდეები, რომლებიც მაშინვე განხორციელდა და იდეები, რომლებიც ოდნავ მოგვიანებით, საბჭოთა დროს განხორციელდა. სადაც დღეს თბილისის საკრებულოა, ის შენობა თბილისის პოლიცემისტერის სახლი იყო. სწორედ აქ საქმიანობდა ნიკო ნიკოლაძე. 1874 წლიდან ეს ე.წ. ქალაქის სახლია, სადაც თვითმმართველი ორგანო მუშაობს. ნიკო ნიკოლაძის პირველი იდეა იყო, რომ შენობა გადაეკეთებინათ და აღარ ყოფილიყო ტლანქი და უხეში. მართლაც, გამოცხადდა კონკურსი და შტერნისა და ოზეროვის პროექტმა გაიმარჯვა, რომლის მიხედვითაც განახლდა მუნიციპალური სახლის იერსახე.

პოლიცემისტერის სახლი. გადაღებულია, სავარაუდოდ, 1850-იან წლებში. ფოტო ბაქოელმა კოლექციონერის მ. ჰუსეინზადემ „თბილისის ჰამქარს“ გადასცა საჩუქრად.

შენობა განახლების შემდეგ (ალ. ელისაშვილი, ლექცია: „ქალაქი გუმბინ, დღეს, ხვალ“. Art Area 2015)

ქალაქის საბჭოში შესვლისთანავე ნიკო ნიკოლაძემ წყალმომარაგების საკითხი დაძრა. მაშინ მტკვრის წყალს იყენებდნენ. პირდაპირ სათლებით იღებდნენ და ყიდიდნენ, 3-5 კაპიკამდე ღირდა. რაც უფრო გაღმიდან მოჰქონდათ, მაგალითად, დიდუბიდან, უფრო სუფთა და შესაბამისად, ძვირი გახლდათ, მაგრამ წყალი ბინძური იყო და ინვევდა ინფექციურ დაავადებებს. მას შემდეგ, რაც რუსეთ-თურქეთის ომის დროს თბილისში 10-ჯერ გაიზარდა რუსული არმიის განრიზონი, ვითარება ამ მიმართულებით კიდევ უფრო დამძიმდა. ნიკო ნიკოლაძე კატეგორიულად მოითხოვდა წყალსაქაჩის აშენებას. საბოლოოდ, **ნიკო ნიკოლაძის ძალისხმევით, ავჭალის წყაროებზე მოეწყო წყალსადენი.** თუმცა, ეს საკმარისი არ იყო და შემდეგ წამოაყენა იდეა, წყალსადენი წალკისა და ნატახტარ-ბულაჩაურის წყაროებზეც გაკეთებულიყო. მაშინ ეს პროექტი, ქალაქის ხელმძღვანელობამ, როგორც ამბობდნენ, უსახსრობის გამო ვერ განახორციელა. თუმცა, მოგვიანებით, 1931 წელს ნატახტარ-ბულაჩაურის წყალსადენი მაინც აიგო.

ნიკო ნიკოლაძე ასევე დაჟინებით მოითხოვდა ქალაქს ჰყოლოდა სანიტარული ექიმი და ჰქონოდა სადებინფექციო კამერა, ძლივს გაიტანა ეს საკითხი. საბოლოოდ, ორივე დაფინანსდა. კამერის პროექტის მომზადება ოდესაში, ქიმიური ლაბორატორიის ხელმძღვანელს, პეტრე მელიქიშვილს სთხოვა. **ნიკო ნიკოლაძემ მოახერხა და 1886 წლიდან თბილისში დაინიშნა სანიტარული ექიმი და მადათოვის კუნძულზე აშენდა სადებინფექციო კამერა, რაც ქალაქში მანამდე არ არსებობდა და შესაბამისად, ძალიან მძიმე სანიტარული პირობები იყო.**



სადეზინფექციო კამერა „მადათოვზე“ (ალ. ელისაშვილი, ლექცია: „ქალაქი გუშინ. დღეს. ხვალ“. Art Area 2015)

ქალაქში სანიტარულ პირობებს კიდევ უფრო ამძიმებდა წესი, რომლის მიხედვითაც, გასაყიდ პირუტყვს პირდაპირ მოედნებზე ან ბაზრებში კლავდნენ. რასაკვირველია, ეს იყო ეპიდემიის წყარო. **ნიკო ნიკოლაძე დაჟინებით მოითხოვდა, გაკეთებულიყო ცენტრალიზებული სასაკლავო დასაკლავი და გასაყიდი პირუტყვისთვის**, ე.წ. ბოინი, რაც სანიტარული პირობების გაუმჯობესების გარდა, ქალაქს დამატებით შემოსავალსაც მისცემდა. ეს პროექტი, მოგვიანებით, 1912 წელს განხორციელდა. **ნიკო ნიკოლაძემ ასევე წამოაყენა დედაქალაქში კანალიზაციის ქსელის მოწყობის იდეა**. პროექტი, რომელიც მაშინდელმა საკრებულომ დააფინანსა, ფრანგმა ინჟინერმა ლინდ ლეიმ შეიმუშავა. მანამდე ქალაქში, ფაქტობრივად, არ არსებობდა ერთიანი სისტემა. მხოლოდ შეძლებულ ოჯახებს ჰქონდათ მცირე ზომის კოლექტორები, საიდანაც კანალიზაცია უახლოეს არხში ან მდინარეში ჩადიოდა. ახალი პროექტი ითვალისწინებდა მტკვრის მარჯვენა და მარცხენა სანაპიროზე მდინარის გასწვრივ, ორი მაგისტრალური არხის გაყვანას, ზედა ფერდობებიდან პატარ-პატარა არხების გაკეთებას, რომლებიც ცენტრალურ მაგისტრალებს შეუერთდებოდა. შემდეგ შეიკრიბებოდა ქალაქგარეთ, ნავთლუღის გაღმა, გაიწმინდებოდა და მტკვარში ჩავიდოდა. მაშინდელმა ხელმძღვანელობამ უარი თქვა უკვე შედგენილი პროექტის განხორციელებაზე, რაც, მათი თქმით, 4 600 000 მანეთი დაჯდებოდა და დროებით მცირე ზომის საკანალიზაციო ქსელები გაიყვანეს. პროექტი მოგვიანებით, საბჭოთა პერიოდში განხორციელდა. აღსანიშნავია, რომ 1883 წლამდე საზოგადოებრივი მუნიციპალური ტრანსპორტი არ არსებობდა, იყო ფაეტონები, ომნიბუსები, მაგრამ მუნიციპალური ტრანსპორტი – არა. სწორედ **ნიკოლაძის**

დაჟინებული მოთხოვნით შემოიღეს თბილისში ცხენის ტრამვაი, ვაგონში შებმული იყო 2 ცხენი და ტრანსპორტი მოძრაობდა ლიანდაგზე. ქალაქი ვითარდებოდა, თუმცა პარალელურად, არ არსებობდა კომუნიკაცია ჩუღურეთისა და ვერეს დასაკავშირებლად. სწორედ ამიტომ, **ნიკო ნიკოლაძის მოთხოვნით, აშენდა ვერის ხიდი (დღევანდელი გალაქტიონის ხიდი) და გაკეთდა ვერის დაღმართი** (დღევანდელი მიხეილ ჯავახიშვილის დაღმართი). ამ პროექტით თბილისის ორი ნაწილი დაუკავშირდა ერთმანეთს. **ნიკო ნიკოლაძე დაეხმარა მშენებლებს მთაწმინდის რკინიგზის შუა ადგილზე რკინა-ბეტონის კონსტრუქციის აგებაში და მისი იდეა იყო, რკინიგზა კოჭორშიც გაეყვანათ. ნიკო ნიკოლაძეს სურდა „აბანოთუბანში“, „ხარფუხსა“ და ორთაჭალის ნაწილში თბილისის ბალნეოლოგიური კურორტი გაშენებულიყო.** ეს პროექტი მოგვიანებით მხოლოდ ნაწილობრივ განვითარდა, რადგან დღეს „აბანოთუბანს“ მხოლოდ ჰიგიენური და გასართობი დანიშნულება აქვს და არ მოხდა მისი სამკურნალო ცენტრად ჩამოყალიბება, როგორც ეს ნიკოლაძეს ჰქონდა გეგმაში. ასევე, **მისი იდეა იყო თბილისის ზღვის ტერიტორიაზე ხელოვნური ტბების კასკადის გაკეთება, სადაც ტბები იქნებოდა დაგუბებული და ერთმანეთთან დაკავშირებული, ეს ხრიოკ და ქარიან კლიმატს გარდატეხდა და აღნიშნული ადგილი საკურორტო ზონად იქცეოდა**, თუმცა, მაშინ იდეაც „თაროზე შემოიდა“ (ალ. ელისაშვილი, ლექცია: „ქალაქი გუშინ, დღეს, ხვალ“. Art Area 2015).



ნიკო ნიკოლაძე (პროექტი „ციფრული ფოტომატიანე“)

თბილისის შემდეგ იყო ფოთი. 1895 წელს, 52 წლის ნიკო ნიკოლაძე ქალაქის თავად აირჩიეს. საქმიანობას დიდი ენთუზიაზმით შეუდგა, თუმცა, გარე ხელშეწყობა არ ჰქონდა და იმაზე ბევრად ნაკლების გაკეთება შეძლო, ვიდრე სურდა. ფოთი ამ დროს ქაობიანი ადგილი იყო. ყოველ წვიმაზე ქუჩები ტალახითა და წყლით ივსებოდა. **ნიკო ნიკოლაძემ ფოთის გარშემო გააკეთა სპეციალური არხი, რომლითაც წვიმის წყალი ქალაქიდან ზღვაში ჩადიოდა. გარდა ამისა, ააშენა 2 ხიდი და დააგო ქვაფენილი.** ამ ყველაფერს, ბუნებრივია, ფინანსები სჭირდებოდა. ამიტომ დააარსა ბანკი და გამოუშვა ობლიგაციები. ზოგი იგებდა, ზოგი ყიდულობდა ამ ფასიან ქალაქებს და შემოსული თანხა სრულად ფოთის აღმშენებლობას ხმარდებოდა. **ნიკო ნიკოლაძემ**

მიზნად დაისახა, აეშენებინა ქალაქის ცენტრში ტაძარი, რომელიც იქნებოდა „აია სოფიას“ მსგავსი და შეასრულა კიდევ. ასევე, მისი ინიციატივით, ქალაქში გაკეთდა 12 ქუჩა, რომელიც ამ ტაძართან მიდის. გარდა ამისა, ააშენა ქალთა და ვაჟთა გიმნაზიისა და პოლიციის შენობები. სხვათა შორის, ეს უკანასკნელი, დღესაც ერთ-ერთ გამორჩეულ ნაგებობად ითვლება ქალაქში.

ნიკო ნიკოლაძის აგებული ტაძარი და ერთ-ერთი ხიდი ფოთში (პროექტი „ციფრული ფოტომატიანე“)

ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პროექტი, რაც ფოთში ნიკო ნიკოლაძის სახელს უკავშირდება, ნავსადგურის მშენებლობის დასრულებაა. 8-ჯერ იმოგზაურა ევროპაში, რომ მშენებარე ან ახლად აშენებული პორტის შესახებ ყველაფერი გაეგო და შესაბამისად ემოქმედა. პეტერბურგში მიაღწია იმას, რომ ნება დართეს, ყოველ 16 კილოგრამ ტვირთზე დაენსებინა ნახევარკაპიკიანი გადასახადი. ეს იყო, ფაქტობრივად, პირველი საბაჟო მოსაკრებელი და ეხებოდა ყველა იმ ტვირთს, რომელიც პორტიდან გემით გადიოდა. მართალია, თავიდან ამ ინიციატივას დიდი წინააღმდეგობა მოჰყვა, თუმცა, საბოლოოდ დაარწმუნა მენარმეები, რომ თითოეული მათგანისთვის ეს ფული არაფერს ნიშნავდა, სამაგიეროდ ერთად შეგროვებული უკვე მნიშვნელოვანი თანხა იყო, რომლითაც ქალაქისთვის აუცილებელი ბევრი პროექტი განხორციელდებოდა.

ნიკო ნიკოლაძე ფოთის წავსადგურის მშენებლობაზე
(პროექტი „ციფრული ფოტომატიანე“)

ნიკო ნიკოლაძე ფოთის წავსადგურში (პროექტი
„ციფრული ფოტომატიანე“)

ნიკო ნიკოლაძემ ფოთში ააგო სპეციალური კედელი, რომელიც ღელვის დროს აკობდა ზღვის ტალღებს. ამით, სანაპიროზე დიდი გემების გაჩერების პრობლემა მოიხსნა. მან ფოთში ააგებინა ელევატორი. ამბობდა, ევროპასთან რომ ვიყოთ, აუცილებელია მისი გვერდით მდგომი (თანასწორი) გავხდეთ, ევროპას მონები კი არა თანამგრძნობები სჭირდებაო. **ნიკო ნიკოლაძემ გაანათა ფოთი და შემდეგ, იმავე სქემით, თბილისი.** ამ პერიოდში **მას გაუჩნდა იდეა, სვანეთის მთებში, საიდანაც ენგური ჩამოდის, ელექტროენერჯის მისაღებად, ელექტროსადგური გაკეთებულიყო.** ეს პროექტი მოგიაწვდით განხორციელდა. თუმცა, გერმანელმა სპეციალისტებმა მაშინვე დაიწყეს ამ ტერიტორიის კვლევა, რომლებიც საქართველოში ნიკოლაძის ვაჟის, გიორგის მოწვევით ჩამოვიდნენ. ნიკო ნიკოლაძე, თითქმის, 20 წელი ემსახურა ფოთს. როგორც მერმა, **დააწესა სპეციალური სტიპენდია უცხოეთში სწავლის მსურველი სტუდენტებისთვის.** კიდევ ბევრი მნიშვნელოვანი პროექტი განახორციელა, თუმცა, მისი ისტორია ფოთთან არც ისე კეთილად დასრულდა. მას ქრთამის აღება დააბრალეს. რეალურად კი, როგორც მკვლევარი დალი ჩიკვილაძე ამბობს, ელევატორის მშენებლისაგან ფული ისესხა, რადგან პეტერბურგში მიდიოდა, შაბათი დღე იყო და ბანკიდან თანხა ვერ გამოიტანა. რა თქმა უნდა, ვალი ჩამოსვლისთანავე დააბრუნა, მაგრამ ცილი მაინც დასწამეს. მოსახლეობა თავგამოდებით იცავდა ნიკოლაძეს. ძიება 4 წლის განმავლობაში გრძელდებოდა. საბოლოოდ, ბრალი ვერ დაუმტკიცეს და ბრალდება გაბათილდა. ნიკოლაძე, ამ დროს უკვე პეტერბურგში იყო და არც სასამართლო პროცესზე და არც მის შემდეგ, გარკვეული პერიოდი, ფოთში არ ჩასულა.

ნიკო ნიკოლაძე ქალაქისა და ქვეყნისათვის მნიშვნელოვან პროექტებს მხოლოდ თბილისსა და ფოთში არ ახორციელებდა. ამ პერიოდში იმერეთში გზები, თითქმის, არ იყო. ამიტომ, **ნიკო ნიკოლაძემ წამოაყენა იდეა, მდინარე რიონი სანაოსნო მდინარედ ქცეულიყო, რომ აქამდე ერთმანეთს მოწყვეტილი სოფლები და ცენტრი დაკავშირებულიყო.** ფიქრობდა, რომ ასე ხალხს ერთმანეთში მისვლა-მოსვლა ექნებოდა,

ივაჭრებდნენ, სოფლებიდან ქალაქებში გლეხები პროდუქტს ჩაიტანდნენ გასაყიდად და ყველა კმაყოფილი დარჩებოდა. ბაზრობების მონყობის იდეას, თავდაპირველად დიდი აღტაცება არ გამოუწვევია, თუმცა, მოგვიანებით, ამ საქმით დაინტერესდნენ. **დიდ ჯიხაიშში კი ნიკო ნიკოლაძემ პარასკევ დღეს დააწესა ბაზრობა და რამდენადაც ცნობილია, ეს ტრადიცია დღემდეა შემორჩენლი.**

1908 ყრილობა ხონში. არწის გაყვანის თაობაზე, სიტყვით გამოდის ნიკო ნიკოლაძე (პროექტი „ციფრული ფოტომატთან“)

ნიკო ნიკოლაძე, ოფიციალურად ორჯერ იყო დაქორწინებული და 7 შვილი ჰყავდა, თუმცა, ერთი ჩვილობაშივე გარდაიცვალა.

ნიკო ნიკოლაძე ოჯახთან, მეუღლესთან, შვილებთან და შვილიშვილებთან ერთად (პროექტი „ციფრული ფოტომატიანე“)

ნიკო ნიკოლაძის სახელი დაკავშირებულია 1918 წელს საქართველოში დამოუკიდებლობის გამოცხადებისა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნასთან. 1917 წლის რევოლუციის შემდეგ, ნიკოლაძე პეტერბურგიდან საქართველოში დაბრუნდა. აქ ყველანაირად ცდილობდა, დამოუკიდებლობის აღდგენისთვის სიტუაცია მოემზადებინა. მისი უშუალო მონაწილეობით დაარსდა საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია და თავად იყო ამ პარტიის საპატიო თავმჯდომარე. ნიკო ნიკოლაძეს დიდი გამოცდილება ჰქონდა კავკასიის მხარეში თურქეთთან ურთიერთობაში. რუსეთ-თურქეთის ომის დროს, გამოცემა „გოლოსის“ სამხედრო კორესპონდენტი იყო. ამ გამოცდილებისა და თავისი კონტაქტების გამო, **1918 წელს, გაზაფხულზე ნიკო ნიკოლაძე და აკაკი ჩხენკელი ბათუმში გაემგზავრნენ.** უკვე არსებობდა გერმანიის მხარდაჭრა და დამოუკიდებლობის გამოსაცხადებად მხოლოდ თურქეთთან ზავი იყო საჭირო. ნიკო ნიკოლაძე 25 მაისს ბათუმიდან წერდა ნოე ჟორდანიას, არ გადაედო დამოუკიდებლობის გამოცხადება. **დამოუკიდებლობის აქტის ტექსტი ნიკო ნიკოლაძემ შეადგინა.** 26 მაისს მოაწერეს ხელი ზავს თურქეთთან, ერთ საათში კი თბილისში დამოუკიდებლობის აქტი წაიკითხეს და საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკა შემქნილად გამოაცხადეს. ნიკო ნიკოლაძე და აკაკი ჩხენკელი თბილისში არ ჩამოსულან, ბათუმიდან ფოთში წავიდნენ, რომ შეემუშავებინათ ქვეყნის ეკონომიკური პროგრამა და მესამე დღეს, ამ დოკუმენტის წარსადგენად,

გერმანიაში გაემგზავრნენ. ნიკო ნიკოლაძე ქვეყნის მომავალს მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარებასა და განათლებაში ხედავდა. მიაჩნდა, რომ ქვეყანა, სადაც თითქმის ყველაფერი შემოაქვთ და თავად არ ქმნის პროდუქტს, ვერ განვითარდება.

მარცხნიდან სხედან ნიკო ნიკოლაძე, აკაკი ჩხენკელი, ზურაბ ავალიშვილი, დგანან სპირიდონ კედია, გიორგი მაჩაბელი და მიხაკო წერეთელი. ფოტო გადაღებულია ბერლინში, სასტუმრო ადლონში, 1918 წლის ივნისში (პროექტი „ციფრული ფოტომატიანე“)

დალი ჩიკვილაძე: ნიკო ნიკოლაძე საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლესი ორგანოს, დამფუძნებელი კრების საპატიო თავმჯდომარე გახდა „დემოკრატებიდან“. 1920 წელს მას დაევალა მანგანუმის მადნის საექსპორტო საზოგადოება „ჩემოს“ საქმეების შესწავლა და ამ მისიით ლონდონში მიავლინეს. საქმე ისაა, რომ ამ დროს ქართულიდან მანგანუმი გააქვთ, ამ პროცესებს ინგლისელები ხელმძღვანელობენ და საქართველოს არანაირ გადასახადს არ უხდიან. აქ არც ის იციან, რა მოცულობის ნედლეული გადის ქვეყნიდან. „ჩემოს“ ოფისი ლონდონშია, ხელმძღვანელობის ნაწილი პარიზში, ნაწილი კი ლონდონში ცხოვრობს. სიტუაცია იმდენად ჩახლართული იყო, ნიკო ნიკოლაძე წერდა, აქ ყველას შენ-ჩემობა სჭირს, ყველა თავისკენ მეძახის, სხვას უღალატე და მე მიერთგულეო. „ჩემოს“ თბილისის ორგანიზაციას ნიკოს ვალი ემართა, რამდენიმე ხნით ადრე დიდი თანხა უსესხებია, რომ

ორგანიზაციას ემუშავა და არ გაუქმებულყო. თუმცა, აღმოჩნდა, რომ მას ვალი არ დაუბრუნეს: არც თანხის და არც ნედლეულის სახით, რომ ევროპაში მაინც გაეყიდა. საბოლოოდ, ვალის დასაბრუნებლად საქართველოში ჩამოვიდა, რათა თბილისში „ჩემოს“ ადგილობრივი ორგანიზაციის კრებას დასწრებოდა, სადაც უფრო იყო შესაძლებლობა საკუთარი სიმართლე დაემტკიცებინა. ნიკო ნიკოლაძე საქართველოში 1924 წელს დაბრუნდა. დააარსა კერძო სტამბა და დაიბრუნა სახლი დიდ ჭიხაიშში, რომელიც ჯარისკაცებს ჰქონდათ დაკავებული.

ნიკო ნიკოლაძე, 1924 წელი (პროექტი „ციფრული ფოტომატიანე“)

ნიკო ნიკოლაძე 1928 წლის 5 აპრილს გარდაიცვალა. თბილისის ყველა ეკლესიაში ამ დღეს გლოვის ზარი ისმოდა. უკანასკნელ გზაზე ოჯახის წევრებთან ერთად, საქართველოს იმჟამინდელმა კათოლიკოს-პატრიარქმა კალისტრატე ცინცაძემ გააცილა. ნიკო ნიკოლაძე ქართველო მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა მთაწმინდის პანთეონში დაკრძალეს. ნიკო ნიკოლაძის მრავალმხრივი განათლების, თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული საქმიანობიდან გამომდინარე, სპეციალური განკარგულებით გადაწყდა, რომ მისი ტვინი მეცნიერულ დონეზე, ერთ-ერთ სამედიცინო დაწესებულებაში შეესწავლათ.

აღსანიშნავია, რომ 2018 წელს ნიკო ნიკოლაძის დაბადებიდან 175, გარდაცვალებიდან კი 90 სრულდება.

ნიკო ნიკოლაძე ოჯახთან ერთად. 1926 წელი (პროექტი „ციფრული ფოტომატიანე“)

„ნიკო ნიკოლაძემ 4 ფორმაციაში იცხოვრა: დაიბადა ბატონყმობის დროს, ცხოვრობდა და მოღვაწეობდა საქართველოში, როცა ის რუსეთის გუბერნია იყო, მოესწრო საქართველოს პირველ დემოკრატიულ რესპუბლიკას და გარდაიცვალა საბჭოთა სინამდვილეში. ნიკო ნიკოლაძე ყველა ამ ეტაპზე იყო პროგრესული, ევროპულად მოაზროვნე და თავის ქვეყანის წარმატებისთვის დაუცხრომლად მებრძოლი ადამიანი“ (დ.ჩიკვილაძე).

გამოყენებული წყაროები:

- ფოტო მასალა – „ციფრული ფოტომატიანე“, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკისა და კომპანია „ჯეოსელის“ ერთობლივი პროექტი
- „ნიკო ნიკოლაძე“- ქართული ლიბერალიზმის ეპოქა ქართულ ლიტერატურაში, ავტორი ზაზა აბზიანიძე.
- ალექსანდრე ელისაშვილის ლექცია „ქალაქი გუშინ, დღეს, ხვალ“, Art Area 2015 წელი.
- ნიკო ნიკოლაძის მკვლევარი, პროფესორი დალი ჩიკვილაძე (რესპონდენტი).



ქართველი ემიგრანტები

ალექსანდრე ქართველიშვილი

“სრულიად შესაძლებელია ჩვენი ცოდნის ისე გაღრმავება, რომ მთვარეს გავცდეთ და ვენერას და მარსს მივადწიოთ, მთავარია ენთუზიაზმი შემოქმედებითობა და გამბედაობა გვყოს” ეს სიტყვები ეკუთვნის ალექსანდრე ქართველიშვილს, რომელიც ამერიკული სამხედრო ავიაციის ლეგენდად დარჩა.



ალექსანდრე ქართველიშვილი

ჩვენ ჩავატარეთ კვლევები მასალის მოძიებისთვის და მოწვეული გვყავდა ქართველი რეჟისორ-მკვლევარი რამაზ ბლუაშვილი მან მოგვანოდა ალექსანდრე ქართველის ცხოვრებისეული და პროფესიული დეტალები. ბატონმა რამაზმა წარმოგვიდგინა ქართველიშვილიშვილის მიერ შექმნილი თვითმფრინავები რომელსაც დიდი როლი ეჭირა ამერიკის ავიაციაში.

მეორე მსოფლიო ომში, ასევე კორეასა და ვიეტნამში ალექსანდრე ქართველიშვილის შექმნილი თვითმფრინავები ამერიკული ავიაციის ძალას წარმოადგენდნენ.

ალექსანდრე ქართველიშვილი დაიბადა 1896 წლის 9 სექტემბერს თბილისში ცნობილი მოღვაწის მიხეილ ქართველიშვილის ოჯახში. დაამთავრა პირველი გიმნაზია, 1917 წელს იუნკერთა სასწავლებელში დაინტერესდა ტანვარჯიშით, ჩაეწერა ჰაერნაოსნობის წრეშიც. მონაწილეობდა პირველ მსოფლიო ომში საარტილერიო ბატარეის მეთაურად. დაუახლოვდა კაპიტან მაჭავარიანის ავიარაზმს.

მაშინ გადაწყვიტა ავიატორი გამხდარიყო. 1919 წელს სამხედრო განათლების დასასრულებლად ალექსანდრე პარიზში გაგზავნეს. ოკუპაციის გამო ემიგრაციაში დარჩენილმა აეროკლუბის დამთავრების შემდეგ უმაღლესი საავიაციო სასწავლებლის საინჟინრო ფაკულტეტზე განაგრძო სწავლა.

ალექსანდრე ქართველიშვილმა საფრანგეთში აიხდინა ბავშობის ოცნება გამხდარიყო ახალი დარგის ავიათმშენებლის სპეციალისტი. ქართველიშვილი აპირებდა სამშობლოში დაბრუნებას მაგრამ საქართველოში დამყარებულმა ბოლშევიკურმა წყობამ აიძულა საფრანგეთში დარჩენილიყო.

მის ცხოვრებაში გადამწყვეტი აღმოჩნდა მილიონერ ჩარლზ ლევინთან დაახლოება, მათ ერთად შეიმუშავეს პროექტი რომლის მიხედვითაც უნდა შექმნილიყო სამგზავრო თვითმფრინავი, რომელიც დაუჯდომლად ჩაფრინდებოდა პარიზიდან ნიო-ორკში. სწორედ ამ პროექტის დახმარებით მოხვდა ის ამერიკაში. ამერიკაში 1941 წელს ცოლად შეირთო თავისი მდივანი ჯინ როგინსონი. შვილები არ ჰყოლიათ.

თვითმფრინავებმა რომელსაც “uncle sam” ერქვა ცხრა საცდელი ფრენა გააკეთა, მაგრამ მათი მძიმე იყო, ხოლო მოტორები რომელიც ლევილმა შეიძინა არ პროპორციებს. ამით დასრულდა მათი ურთიერთობა.

POWERED BY

ქართველიშვილს ამერიკაში ცხოვრება ძალიან გაუჭირდა ამიტომ თავი რომ გაეტანა მუშაობდა ჭურჭლის მრეცხავად ასევე გვიდა ეზოებს.



1931 წელს იგი შეხვდა თბილისელ ალექსანდრე სევერსკის, ცნობილ კორპორაცია "seversky aircraft company"-ის პრეზიდენტსა და მთავარ ინჟინერს. სწორედ სევერსკის კორპორაციაში შექმნილი მოდელები იქცა ქართველიშვილის გამანადგურებლის წინამორბედად. მის კორპორაციაში შექმნილმა მოდელებმა ამფიბია "sev-3" მსოფლიო რეკორდი გააუმჯობესა.

ორადგილიან p-35 სამხედრო მანქანად გადაკეთებულმა პოპულარობა მოიპოვა სამხედრო მფრინავთა შორის, იგი დიდ პარტიებად შეიძინა შვეიცარიაში, იაპონიაში, ჩინეთში და ქართველიშვილს აღიარება მოუტანა.

1938 წელს კორპორაციის ხემდგანელობაზე სევერსკიმ უარი თქვა. კორპორაცია გადაკეთდა "Republic avia-corporation" და კომპანიის ვიცე-პრეზიდენტად და მთავარ ინჟინერად დაინიშნა ალექსანდრე ქართველიშვილი.

1939 წელს კი ახალი გამანადგურებლის დაპროექტება დაწყდა.

მეორე მსოფლიო ომის დროს თავდაცვის სამინისტროს 1940 წლის კონტრაქტით ქართველიშვილმა შექმნა გამანადგურებელი P-47 "მეხთამფრქვევი", რომელიც მეორე



მსოფლიო ომის მთავარ თვითმფრინავს წარმოადგენდა და დიდი როლი შეასრულა გერმანიაზე გამარჯვებაში. არანაკლები წარმატება ხვდა წილად მის მიერ შემდგომ პერიოდში შექმნილ თვითმფრინავებს. ამერიკის ავიაციის ისტორიის კუთვნილება ქართველიშვილის მიერ შექმნილი თვითმფრინავები: მეორე მსოფლიო ომის შემდეგ წარმატება ხვდა, ატომური ბომბით აღჭურვილ რეაქტიულ გამანადგურებელს F-84. ასევე F-105 რომლითაც სენატორი ჯონ

მაქქეინი ვიეტნამის ომის დროს დაფრინავდა.

აღსანიშნავია რომ ქართველიშვილზე ინფორმაციის მოძიება ძალიან რთული იყო რადგან იგი გასაიდუმლოებულ პროექტებზე მუშაობდა ამერიკაში. ამის გამო მისი ცხოვრება არ იყო ფართო საზოგადოებისათვის ცნობილი.

ალექსანდრე ქართველიშვილს თითქმის არ უცხოვრია საქართველოში მაგრამ ამის მიუხედავად მაინც მთელი ცხოვრება საქართველოს სიყვარულში გაატარა. მან ზეპირად იცოდა "ვეფხისტყაოსანი".

ის მთელი ცხოვრება ქართული საზოგადოების წევრი გახლდათ რის გამოც რამდენჯერმე პრობლემაც შეექმნა. მაგრამ მაინც ბოლომდე დარჩა ამ საზოგადოების წევრად და საწევროსაც იხდიდა. თუმცა, აკრძალვის გამო შეკრებებს ვერ ესწრებოდა.

who". იყო ტემპლისა და ბრუკლინის უნივერსიტეტების საპატიო დირექტორი, სახელმწიფო საავიაციო კომიტეტისა და მრავალი საზოგადოების წევრი. ყველაზე დიდ სიამოვნებას ანიჭებდა ქართულ-კავკასიური საზოგადოების "ალავერდის" წევრობა, სადაც თანამემამულეებთან და კავკასიელებთან ჰქონდა ურთიერთობა.

თვითმფრინავის შექმნისას ქართველიშვილი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა მის აეროდინამიკას და გარეგნულ, ესთეტიურ მხარეს. ალექსანდრე პენსიაზე გასვლის შემდეგაც მუშაობდა თავის კომპანიაში. იგი იყო ამერიკის ნაციონალური აერონავტული ასოციაციის წევრი, საერთაშორისო საავიაციო საზოგადოებისა და სხვა საავიაციო ორგანიზაციების წევრი, მეცნიერებათა აკადემიის საპატიო დოქტორი. მან უცხო ქვეყანაში საკუთარ წარმომავლობაზე გაამახვილა განსაკუთრებული ყურადღება და სახელად ალექსანდრე ქართველი დაირქვა. ალექსანდრე ქართველი გარდაიცვალა 1974 წელს ნიუ იორკში. და მისი საფლავი 30 წლის შემდეგ პირველმა ქართველმა რამაზ ბლუაშვილმა მოინახულა. ნიუ-იორკში, მუზეუმად ქცეულ მდინარე ჰუდონის ყურეში დგანან 50-60-იან წლების თვითმფრინავები, ვერტმფრენები და საომარი საჭურველი, მათ შორის რეაქტიული ზებგერთი "Republik" F-84 "მეხათმფრქვევი", როგორც ამერიკული გამანადგურებლების ქართველი მამის- ალექსანდრე ქართველის ძეგლი.



რამაზ ბლუაშვილი გვიყვება: "სამი წლის წინ დეტრიოიტის ავიაშოუზე გავიცანი პიროვნება მეორე მსოფლიო ომის ვეტერანი, რომელიც თავის დროზე ქართველიშვილის მიერ შექმნილი P47-ით დაფრინავდა. მე ვკითხე თუ რა იცოდა თვითმფრინავის შემქმნელის შესახებ, რაზეც მიპასუხა რომ მისი ავტორი რუსი ავიაკონსტრუქტორი ალექსანდრე ქართველიშვილი იყო. ძალიან შევწუხდი და ავუხსენი რომ ქართველიშვილი რუსი კი არა, ქართველი იყო. ქართველიშვილი ერთადერთხელ ყოლია ნანახი 1962 წელს მაგრამ ამ თვითმფრინავზე მეტად არაფერი ჰყვარებია.

ძალიან გაუხარდა რომ ის საქართველოდან ყოფილა."

კვლევა

რეჟისორ-მკვლევარ, რამაზ ბლუაშვილთან შეხვედრა რომ არა ბევრს ვერაფერს გავიგებდით დიდი ქართველის(მას დღემდე ასე მოიხსენიებენ ნასასა და ამერიკულ სამხედრო ელიტაში) შესახებ, რადგან მას შთამომავლობა არ დარჩენია. "სამი წლის წინ დეტრიოიტის ავიაშოუზე გავიცანი პიროვნება მეორე მსოფლიო ომის ვეტერანი, რომელიც თავის დროზე ქართველიშვილის მიერ შექმნილი P47-ით დაფრინავდა. მე ვკითხე თუ რა იცოდა თვითმფრინავის შემქმნელის შესახებ, რაზეც მიპასუხა რომ მისი ავტორი რუსი ავიაკონსტრუქტორი ალექსანდრე ქართველიშვილი იყო. ძალიან შევწუხდი და ავუხსენი რომ ქართველიშვილი რუსი კი არა, ქართველი იყო. ქართველიშვილი ერთადერთხელ ყოლია ნანახი 1962 წელს მაგრამ ამ თვითმფრინავზე მეტად არაფერი ჰყვარებია.

ძალიან გაუხარდა რომ ის საქართველოდან ყოფილა."



POWERED BY

შენვედრა რამაზ ბლუაშვილთან-რეჟისორი და მკვლევარი აშშ-ში

დასკვნა

“უწარსულოდ ვერ მოვიძიებთ სამომავლო გზებს”

სწორედ ამ სიტყვებმა გადაგვაწყვეტინა გაგვეხსენებინა უცხო ქვეყანას შეხიზნული ქართველი ემიგრანტები ალექსანდრე ქართველიშვილი და მიხეილ გრიგორაშვილი რომელთაც სამშობლოს მიტოვება სხვადასხვა გარემოებების გამო მოუხდათ და უცხო ქვეყნებში დაიდეს ბინა.

ჩვენთვის ძალიან საინტერესო იყო მათი ცხოვრებისეული ისტორიების გაცნობა, ემოციებისა და განცდების გაზიარება.


ჩვენ ის თაობა ვართ, რომელთაც ჩვენი ქვეყნის მომავალს უწოდებენ.

მომავლისკენ კი ვერ გავიხედებით თუ არ ვიცით ჩვენი წინაპრების, მამების და ბაბუების წარსული. ამ წარსულით ვამყობთ ,რაც გვადლევეს მომავლისკენ ხედვის ძალას.

ამ თემაზე მუშაობამ ბევრი რამე გვასწავლა, გაგვაგებინა და გაზარდა ჩვენი მსოფლმხედველობა.



P.S. თემა გამუქდა გაზეთ "ახალი განათლების" 2017 წლის XI ნომერში. თემა მოსწავლე ახალგაზრდულ სასახლეში დაჯილდოვდა სერტიფიკატით



გამოყენებული ლიტერატურა

რუსუდან დაუშვილი "ქართული ემიგრაცია ამერიკაში"

რუსუდან დაუშვილი "ქართველი მრეწველები და

გამომგონებლები ამერიკაში"

ელექტრონული ვერსიები, აუდიო-ფოტო მასალები. ქართველ ემიგრანტთა ჩანაწერები

დღიურები ჩანაწერები, საგაზეთო სტატიები მოვიძიეთ პარლამენტის ეროვნული

ბიბლიოთეკის ემიგრაციის დარბაზში.



AT



ჯორჯ კობი – ქიმიური მრეწველობის ქართველი მეფე ამერიკაში



გრიგოლ კობახიძე - ჯორჯ კობი და მისი კომპანიის ბლანკი
Grogol Kobakhidze -George Coby and title page of his company



ჯორჯ კობის მინის ფლაკონი სხვა ფლაკონების ფონზე
George Coby bottle on the background of other perfume bottles

ისტორიაში ჯორჯ კობის სახელით შესული, წარმოშობით ქართველი, ამერიკაში მოღვაწე მილიონერი, გამომგონებელი და ბიზნესმენი გრიგოლ კობახიძე ერთ-ერთია მათ შორის, რომელთა საქმეების შესახებ საზოგადოების უმეტესობისთვის ცნობილი არ არის – ამის მიზეზი, ერთი მხრივ, საბჭოთა ცენზურა და რეპრესიები აღმოჩნდა, მეორე მხრივ კი – უახლესი ისტორიის მიმართ მწირი ინტერესი.


გრიგოლ კობახიძის, იგივე ჯორჯ კობის, გრძელი, თავგადასავლებით და წარმატებებით სავსე გზა რაჭის სოფელ თხმორში იწყება, სადაც ის მეცხრამეტე საუკუნის მიწურულს დაიბადა, 10 წლის ასაკში დატოვა ბედის საძიებლად წასულმა და მეოცე საუკუნის 60-იანი წლების ამერიკაში მთავრდება, სადაც უკვე შემდგარი ბიზნესმენი, არაერთი გამოგონების ავტორი, ამერიკის “ქიმიური მრეწველობის მეფის” სტატუსით 84 წლის ასაკში გარდაიცვალა.

მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებული გრიგოლ კობახიძე, სანამ მსოფლიო აღიარებას და მსხვილ კაპიტალს დააგროვებდა, არაერთ ადგილას აღმოჩნდა: რაჭიდან, მშობლიური სოფლიდან წამოსვლის შემდეგ ის მუშაობას იწყებს ბორჯომის

მინის ქარხანაში, სადაც მისი უფროსი ძმა - ლევანი უფროს მემანქანედ მუშაობდა. აქ ოთხ წელს ჩერდება და სწავლობს ყველა ტექნოლოგიას, რასაც იმ დროს ქარხანაში იყენებდნენ და ბორჯომიდან ჯერ ოდესის მინის ქარხანაში გადადის, შემდეგ კრასნოდარის გუბერნიაში, მერე კი - დომბასის სამრეწველო ცენტრ კონსტანტინოვკის მინის ქარხანაში.

1907 წელს გრიგოლ კობახიძე პოლონეთის გავლით გერმანიაში ჩადის, მიუნხენში სახლდება და გერმანელი სპეციალისტების დახმარებით ქმნის შუშის პროდუქციის დამამზადებელ პატარა საწარმოს, მაგრამ აქ დიდხანს არ ჩერდება და ჯერ ლონდონში, შემდეგ კი ამერიკაში მიემგზავრება. ისტორიული წყაროების მიხედვით, იმ დროს ამერიკაში საკმაოდ იყვნენ ქართველები, მათ შორის რაჭველები, რომელთა ნაწილს ჩვეული ხელობისათვის, მეპურეობისათვის მოეკიდა ხელი. მათი დახმარებით გიგო ნიუ-იორკში მოეწყო და პურის ცხობით ირჩენდა თავს, თუმცა ეს მხოლოდ საწყის ეტაპზე, სანამ მიხვდებოდა, რომ საკუთარი გამოცდილებით და მონდომებიც მეტიც შეეძლო და გამომგონებლის კარიერის შექმნას დაიწყებდა.

გრიგოლ კობახიძის გამოგონებებს შორის არის ავტომატური საწერ-კალამი, ქიმიური სითხით სავსე ელექტროსანთლები, ე.წ. Babel Lamps, რომლებმაც ნამდვილი სანთლები შეცვალა, ნაძვისხის სათამაშოები, წყალგამძლე ცემენტი და მინა-ბლოკი, რომლებსაც აქტიურად იყენებდნენ ცათამბჯენების მშენებლობაში. ის ამზადებდა ფლაკონებს გიორგი მაჩაბლის სუნამოსთვის - Prince Matchabeli და ქმნიდა პროდუქციას ქიმიური და სამედიცინო ლაბორატორიებისათვის, სავსე ჰოსპიტლებისა და საავადმყოფოებისათვის, რომელსაც მეორე მსოფლიო ომში იყენებდა როგორც ამერიკა, ისე კანადა.




Prince Matchabelli **PERFUMES**

THREE subtle perfumes, once created for his ladies by Prince Matchabelli of Tamarasheni, are today Grand Prix successes in the realm of international society. + + *Osiris* . Princess Nostiza, Ave Maria, Queen of Georgia, Duchess of York and Royal Gardenia . . in the Cosmoet Flacon. + + *Empress of India* . . in the Pyramid Flacon. PARIS . . HOTEL GEORGE V + + + NEW YORK . . . 714 FIFTH AVENUE


“ჯორჯ მახაბლის” ადრეული ხანის “გვირგვინის” ფლაკონი, რომელიც ჯორჯ კობი დაამზადა. 1930-იანი წლებიდან ამგვარ ფლაკონებს უკვე სხვადასხვა ფერისას

ანარმოებდნენ.

ამერიკაში პირველი ქარხანა გრიგოლ კობახიძემ 1919 წელს მასაჩუსეტსის შტატში, ბოსტონთან, ეტლებოროში ააშენა. 1922 წლიდან მისმა ფირმამ - The Cobi Glass Products Company-მ, რომელიც 45 დასახელების პროდუქციას უშვებდა (სამედიცინო, ქიმიური, ლაბორატორიული, ფანჯრის მინები, ოთახის გასატიხრი მინები და სხვ.), სახელი გაითქვა აღმოსავლეთ შტატების სამრეწველო ცხოვრებაში. 1929 წელს წარმოების საქონელბრუნვა 15 მილიონ დოლარს აღწევდა, შემოსავალი - 4 მილიონს. ჯორჯ კობის 60-ზე მეტი პატენტეტი პრესტიჟს მატებდა წარმოებას.



ჯორჯ კობისთვის, ისევე როგორც მილიონობით სხვა მენარმისთვის, 1929 წელს დაწყებული არნახული ეკონომიკური კრიზისი, რომელიც 1933 წლამდე გაგრძელდა და ისტორიაში დიდი დეპრესიის სახელით შვიდა, დიდი და მნიშვნელოვანი ზარალის მომტანი აღმოჩნდა. 1930 წელს თავი მოიკლა მისმა კომპანიონმა იუჯინ (ევგენი) იგნატიევმა. კობი ფარ-ხმალს არ ყრიდა და თავდაუზოგავი შრომით კვლავ მოახერხა ფეხზე წამოდგომა. ჯორჯ კობიმ ახლა უკვე სახლთან მოაწყო მინის წვრილმანი ნივთების პატარა ფაბრიკა, სადაც ბევრ რამეს თავისი ხელით აკეთებდა. გაიხსენა საწერ-კალმებისა და საკანცელარიო ნივთების დამზადების ხელობა და მუშტარიც გაიჩინა. მისი ბიზნესის გასაფართოებლად მნიშვნელოვან მოვლენად იქცა გიორგი მაჩაბლის შეკვეთა, რაც სუნამო Prince Matchabelli-სთვის ფლაკონების შექმნას გულისხმობდა. მაჩაბლის სუნამოებისთვის ფლაკონებს ჯორჯ კობი ნახევრად ავტომატური მეთოდით ამზადებდა, ოქროთი მოვარაყება, ოქროსფერი ბარნიშისა და ზონრის დამზადება ხელით ხდებოდა.



მაჩაბლების საგვარეულო გერბი და გ. მაჩაბლის ფლაკონების დიზაინი
Machabelli family coat of arms and Giorgi Matchabelli perfume bottles design

ყველაზე მეტი წარმატება ფირმას მოუტანა მაჩაბლების საგვარეულო გერბზე გამოსახული სამეფო ოქროსფერაყიანი გვირგვინის გამოყენებამ გაფორმებაში. სახელგანთქმულმა სუნამომ „საქართველოს დედოფალმა“ ჯვრიანი ოქროს გვირგვინის ფორმის ფლაკონით ამერიკული საზოგადოების აღფრთოვანება გამოიწვია. სუნამო მან არშემდგარ საქართველოს დედოფალს, მარინე მაჩაბელს მიუძღვნა.

82

a splendid evidence of his theories. In advertisements (including TV) Giorgi Matchabelli indicates where and how to apply or spray a perfume to make the smell open better. Spots and spray technology is still an accepted norm, but its motto: "work, quality and good taste", was a breakthrough in the theories about fragrant waters, that a frequent use of one and the same scent causes identification of the flavor and an individual, "makes an integral identity-sameness between you and the scent. And that the principle works as the magic", - was also adopted by other companies. Giorgi created, prepared, decorated and advertised fragrances himself.

The greatest success to the company was brought by application as a design of a royal crown decorated in gold depicted on the Matchabelli family coat of arms. Renowned fragrance "The Queen of Georgia" in a golden crown-shaped bottle with a cross caused excitement in the American Society. The perfume he dedicated to the failed queen, Marine Machabelli. Initially the bottles were made from German porcelain, after in the Glass Products Company of a working in America another Georgian entrepreneur, George Kobi (Grigol Kobakhidze) were made transparent glass bottles, which, as the encyclopedia notes, "are considered the finest examples of handcrafted glass vials". They were produced by a semi-automatic method, but gold plating, gilding and strip production was still manual as in old times. Soon it was followed by other per-

საქმე კარგად მიდიოდა, დაუღალავი ჯორჯ კობი კი სახელმწიფო წარმოებაში ჩართვასა და მასშტაბების გაზრდაზე ოცნებობდა და აი, 1941 წ. 7 დეკემბერს, როცა ამერიკის შეერთებული შტატები II მსოფლიო ომში ჩაება, მან ოფიციალური მიმართვა გაუგზავნა ამერიკის მთავრობას და ფინანსური დახმარება ითხოვა საომარი შეკვეთებისთვის მინის წარმოების აღსადგენად. მოთხოვნის პასუხად დაუყოვნებლივ მიიღო ლიცენზია და 2 მილიონი დოლარი, რომლითაც როდაილენდის შტატის ქ. პატაკეტში გახსნა ქარხანა და დაიწყო პროდუქციის წარმოება ქიმიური და სამედიცინო ლაბორატორიებისათვის, საველე ჰოსპიტლებისა და

საავადმყოფოებისათვის. ჯორჯ კობის ნაწარმი მიეწოდებოდა როგორც კანადას, ასევე მოკავშირეებს.

II მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ ჯორჯ კობმა სიახლე დანერგა თავის წარმოებაში – დაიწყო ნაძვისხის სათამაშოების დამზადება. შექმნა ქიმიური სითხით სავსე ელექტროსანთლები, ე.წ. Babel Lamps, რომლებმაც ნამდვილი სანთლები შეცვალა.



ფერადი მინიგან ამზადებდა სხვადასხვა ფორმის სათამაშოებს, რომელსაც “ორნამენტი” უწოდა, შინდისფერ ყუთებში ჩაწყობილ 12 ან 24 ცალ სათამაშოს ეწერა – “კობი. საშობაო ხის ორნამენტები, კობი – ეს შობაა”. იმის გამო, რომ სათამაშოები კანადაშიც გადიოდა, წარწერა ფრანგულ ენაზეც კეთდებოდა.




დიდი გამომგონებლისა და ბიზნესმენის ცხოვრებიდან საინტერესოა მისი საქართველოსთან კავშირის შენარჩუნების მცდელობები – გარდა იმისა, რომ ეხმარებოდა ქართველ ემიგრანტებს ამერიკასა და ევროპაში და ეძებდა მინის წარმოების მცოდნე ქართველ სპეციალისტებს თავისი მემკვიდრეობის გადასაცემად, აქტიურად ახორციელებდა მნიშვნელოვან პროექტებს საქართველოში, სანამ საბჭოთა რეჟიმმა არ აგრძნობინა, რომ არასასურველი იყო მათთვის და თუ სამშობლოსთან კავშირს არ განწყვეტდა, მას და მის საქართველოში მყოფ ნათესავებს შესაძლოა საფრთხე შექმნოდათ.

გრიგოლ კობახიძე აღტაცებული იყო საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებით 1918 წელს და ფიქრობდა, რომ ერთ დღესაც სამშობლოშიც ააგებდა მინის ქარხანას. თუმცა ხანმოკლე დამოუკიდებლობის პერიოდში ის ჯერ ამერიკის შეერთებულ შტატებში ანყობდა ბიზნესს, გასაბჭოებულ საქართველოში კი ბოლშევიკებს მისი დაბრუნების იდეა სულაც არ მოეწონათ. 1924-28 წლებში ორჯერ

ჩამოვიდა საქართველოში. აქტიურად ეხმარებოდა საკუთარ სოფელს: მხარში ედგა გაჭირვებულებს, ააშენა სკოლა, აფთიაქი, მდინარე შარეულაზე გადო ორი ხიდი, შეაკეთა ეკლესია, მღვდლის სახლი, გახსნა და საქონლით მოამარაგა სავაჭროები, მოაგვარა მრავალი წვრილმანი პრობლემა. ბოლშევიკები მის დაპატიმრებას აპირებდნენ, გრიგოლ კობახიძე იძულებული გახდა სასწრაფოდ დაბრუნებულიყო შეერთებულ შტატებში.

როგორც ჯორჯ კობის წერილებიდან ირკვევა, მას სურდა ძმისშვილების ან ახლო ნათესავების წაყვანა ამერიკაში, მაგრამ ვერც ეს შეძლო და საბჭოთა კავშირში დაწყებული რეპრესიების გამო იძულებული იყო, საერთოდ შეენწყვიტა ოჯახთან ურთიერთობა. საბოლოოდ, კობის კომპანიონები იტალიური წარმოშობის ძმები, ჯიმ და ჯული პაგლისები გახდნენ, რომლებმაც მისი საქმე გააგრძელეს. ჯორჯ კობის სახელით დღემდე იყიდება გასულ საუკუნეში დამზადებული ნაძვისხის მოელვარე სათამაშოები ვინტაჟურ ონლაინმაღაზიებში და დღემდე აქვს მათ ყუთებს წარწერა – “კობი, ეს შობაა”, თუმცა ცოტამ თუ იცის ისტორია დიდი შრომისა და მონდომებისა, რომელიც რაჭის პატარა სოფლიდან წამოსულმა პატარა ბიჭმა გასწია ხანგრძლივი ცხოვრების გზაზე.



კომენტარების ნახვა (0)



AT.GE © ყველა უფლება დაცულია, 2024.

ნავიგაცია

ჩვენ შესახებ

გაერთიანება

კატეგორიები

სიახლეები

ბიზნესი/ბიზნესლოგო

LIFESTYLE

მოსაზრება

ხელშეწყობა

სანაწარმოო

გასტრონომია

ფინანსური განათლება

ახალგაზრდობა

შემოგვიერთდით



WEBSITE DESIGN AND DEVELOPMENT



სახელმწიფო უსაფრთხოების დასახელება	1992	1993	1994	1995	1996	1997	1998	1999	2000	2001	2002	2003	2003 - ხუროთმოძღვრება	2004 - ხუროთმოძღვრება	2004	2005	2006	2007	2007 - ხუროთმოძღვრება	2008 - ხუროთმოძღვრება	2008	2009	2010	2011	2012	2013	2013 - ხუროთმოძღვრება	2014	2015	2016	2017	2018	2018 - ხუროთმოძღვრება	2019	2020	2021	2022	2023	სულ
ერთიანი გვირგვინი	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	2	-	-	-	-	-	-	-	2	-	-	11	-	-	1	-	1	2	-	1	1	2	1	15	39
წმინდა გიორგის სახელობის გამარჯვების ორდენი	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	1	1	4	-	-	11	10	6	7	4	30	-	25	1	-	-	-	-	-	-	-	-	100	
დავით აღმაშენებლის ორდენი	-	-	-	-	-	1	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	2	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	3	
ოქრის სავსების ორდენი	-	-	-	-	-	-	-	1	4	1	2	3	-	-	-	-	-	2	-	-	3	9	5	1	7	2	-	9	5	7	3	1	-	2	-	7	4	78	
ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენი	1	59	69	10	1	2	6	5	1	8	5	2	-	-	1	25	1	7	-	-	43	45	41	25	14	57	-	37	1	-	6	34	-	4	1	-	10	521	
ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენი	1	19	96	23	11	5	24	13	22	12	31	44	-	1	21	-	5	16	58	-	89	24	48	8	21	11	1	5	-	19	26	56	-	5	12	-	26	753	
ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენი	-	231	243	167	39	56	101	78	96	48	88	90	2	4	68	15	10	14	-	33	212	49	40	24	46	88	-	8	3	9	54	21	-	8	-	-	7	1952	
ღირსების ორდენი	-	69	25	73	227	407	841	1165	1166	954	963	1212	4	3	89	110	99	142	8	-	149	192	219	426	1492	1315	-	17	48	42	39	79	-	9	20	16	2	2	11615
მედალი "შვედრული შამაცობისათვის"	-	512	437	214	106	99	42	182	175	112	171	159	3	11	158	49	220	10	2	-	268	94	41	59	57	1	-	15	13	1	4	13	-	10	4	8	2	3152	
მედალი „საბრძოლო ღაშთსახურებისათვის“	-	340	94	81	24	24	27	162	129	67	101	111	-	15	131	-	-	-	-	-	71	6	-	79	47	12	16	1	1	-	-	1	-	-	-	-	-	1540	
ღირსების მედალი	-	64	62	53	181	266	699	984	654	598	700	695	-	-	47	73	55	89	11	-	132	36	43	185	951	167	-	2	55	1	5	13	-	26	8	30	32	27	7044
თამარ მეფის ორდენი	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	1	-	39	-	-	1	-	-	-	-	1	-	8	1	51	
პრინციპალუბის საპრეზიდენტო ორდენი	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	55	35	43	153	-	4	5	7	2	35	-	5	2	3	7	1	357
წმინდა ნიკოლოზის ორდენი	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	20	-	-	1	-	1	1	-	-	-	1	-	24	
მედალი „სამოქალაქო თავდადებისათვის“	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	104	-	3	7	-	-	1	1	2	1	2	10	131	
ჯამი	2	1285	1026	621	589	960	1740	2590	2247	1800	2161	2316	9	34	517	273	391	284	79	33	978	465	500	850	2682	2012	17	126	142	86	141	257	1	73	49	77	102	45	27460

1992 - 2003	17,237
2003 - 2008	155
2004 - 2013	8,952
2014 - 2018	769
2018	347

"ყველაზე მეტად, სულით და გულით შურნალობს შინდა, მაგრამ ჩემი ეს პროფესია დღეს არავე სჭირდება. როგორც ჩანს, ან ძალიან ადრე დავიბადე, ან ძალიან დავიგვიანეთ"- წერდა იგი.

იმერეთის მკვლევარების საბაზო განვითარება.

- რკინიგზის გაყვანა – ვერ ფიქრობდა თბილისაშდე, შემდეგ კი ბაქოდან ბათუმამდე, თბილისის გავლით.

- წყალმომარაგების პრობლემის მოგვარება – ნიკო ნიკოლაძის ძალისხმევით ვერ ავსალაში მოეწყო წყალსადენი, შემდეგ კი ნალკისა და ნახახუარ-ბულაჩაურის წყაროებზე.

- თბილისში სადღეღმადურო კაპარის აშენება და სანთაროული ექიმის დანიშვნა.

- ე.წ. ბონის შეშენა – იმ ხანებში საშენებელს ვირდავირ მოედნებზე კლავდნენ, რაც რა თქმა უნდა, რთულ სანიტარიულ პირობებს ქმნიდა ძალაში, ამიტომ, ნიკოს ინიციატივით, გადაწყდა ცენტრალიზებული სასააკლავო მოწყობა.

- დედაქალაქში კანალიზაციის შესლის მოწყობა.

- ფოთის და თბილისის ქუჩების განათება.

- საზოგადოებრივი ტრანსპორტის განვითარება – მისი დაშინებული თხოვნით შემოიღეს ცხენის ტრაგავი.

ეს ნიკო ნიკოლაძის მიერ განხორციელებული პროექტების არასრული ჩამონათვალია. ამას მოჰყვა ფოთში მისი კიდევ უფრო ნაყოფიერი, თითქმის 20-წლიანი მოღვაწეობა, საიდანაც განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ფოთის პორტის მშენებლობაში მის მიერ ჩადებულ დრო და ენერჯია.

ნიკო ნიკოლაძე ასეთივე აქტიურ მოღვაწეობას ეწეოდა ქვეყნის გარეთაც. მაგალითად, დიდწილად მისი დასახსურებაა კარნის ეზოს განათების მოწყობა. მან სთხოვა ერთ-ერთ ეგრეთვე ნაყოფიერ მამულს დაფინანსება იმ ფრანგი მშენებლისა, ვისაც წყალმომარაგებელი ელემენტო სადგურის მოწყობის იდეა ჰქონდა, რომლიდანაც მიღებული ელემენტო ენერჯით შესაძლებელი იქნებოდა ეზოს განათების უზრუნველყოფა.

მარდა ამ დასახსურებებისა, ნიკო ნიკოლაძე თავაშდე შეიძლება მივიჩნიოთ საქართველოში ერთ-ერთ პირველ მემორლოგიების დამმარებად. იგი იყო პირველი, ვინც ფლორდა მუხივარს, ყავის აკარაშს, ფოთო აკარაშს და სხვა.

აშვა უნდა აღნიშნოს, რომ სწორედ ის ბასლავთ ჩვენს მკვლევარში პირველი სელფის ავტორის, რომელიც მან საკუთარი კოდაკის კამერით გადაიღო სარკეში.

ძებნა



InfoImereti
Follow Page INFO IMERETI Share

მესკლუბივი



როგორი იქნება ქუთაისის მთავარი ბულვარ (რამდენის ფოტოები)


როგელი იყო ქუთაისის ყველაზე წარმატებული მერი?

- იოსებ ხახალაიშვილი
- გიორგი ჭიღვარია
- შოთა მურღულია
- დიმიტრი კოკალაიანი
- ბესიკ ბრეგვაძე
- ბია თევდორაძე
- ნუგზარ შაშვილი
- ბიბა ჩოგოვაძე
- ბაკური ბალანჩივაძე
- ბია გიორვაძე
- თეიმურაზ შაშიაშვილი
- სხვა


ნმის მიცემა

ინილეთ შედეგები

ინილეთ ინტერაქტივის გვერდი



დღის ფოტო



ახალი ამბები

"უაღრესესი სიბინძურების ჩინი მსახურ და ყანაში მს მსახურია..."

სახეარები, გლეხა, რომელსაც გამველავები, სიბინძურის მარობას პარავდნენ, ყანაში ადამიანის მანეკანი ჩადგა. ღამის საათებში, სიბინძურის მოკარვის მიზნით, ყანა [...] იხილეთ სრულად

3/11

ახალი ამბები

მსახურებში კვარია რეკორდი - "7 მანაგა მსახურებში, საბინძურის ხეობა" (Video)

რეკორდი უაღრესესი ბაიო ერთმანეთს შვიდი ავტომობილი შეიკაზა. გავრცელებული კადრების მიხედვით, ავარიში სამარცხრეტო მანეკ მოკვდა, დაშავდა რამდენიმე [...] იხილეთ სრულად

3/11

ახალი ამბები

მსახურებში კვარია რეკორდი - "7 მანაგა მსახურებში, საბინძურის ხეობა" (Video)

მუთაისის აეროპორტში უცხოელმა სიმაგრათი დატოვა, რომელშიც ინფორმები და უფასო მარგია ჩართული. მუთაისმა კოსტი ერთ-ერთ აბუჯში დადო და დანერა, რომ იქიდა [...] იხილეთ სრულად

3/11

📍 მუთაისი ი. შავყავაძის № 20

☎ +995 598 98 49 50

✉ infoimereti4@gmail.com

© Infolmereti.ge, 2021-2024



20 ქართველი მეცნიერი, რომლებიც მსოფლიოს წამყვან ლაბორატორიებში და უნივერსიტეტებში მუშაობენ



მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებსა და ლაბორატორიებში უამრავი ქართველი მეცნიერი საქმიანობს. საქართველომ ბევრის სახელი და გვარი მხოლოდ მას შემდეგ გაიგო, რაც კორონავირუსის პანდემია დაიწყო და ქვეყანას მათი ინტელექტუალური თუ პრაქტიკული ცოდნის გაზიარება დასჭირდა.

AMBEBI.GE წარმოგიდგენთ 20 ქართველ მეცნიერს, რომლებიც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში სამეცნიერო წრეებში კარგად ცნობილი არიან და მნიშვნელოვან პროექტებშიც მონაწილეობენ:

გიორგი ბაბუაძე

კანადაში, ლავალის უნივერსიტეტში მუშაობდა. დოქტორანტი მოლეკულური ვირუსოლოგიის მიმართულებით, 2017 წლიდან დნმ-ის სხვადასხვა ტიპის ვაქცინაზე მუშაობდა.

ბაბუაძე კანადაში მეცნიერთა იმ ჯგუფის ერთ-ერთი წევრი იყო, რომელმაც სწორედ ახალი კორონავირუსის სანინალმდეგო ერთ-ერთი ვაქცინის შექმნაზე იმუშავა. ამ ტიპის ვაქცინა ორგანიზმში ცოცხალი ვირუსის ან ანტივირუსის შეყვანას არ საჭიროებს, არამედ, დნმ პლატფორმის მეშვეობით, ვირუსის ანტიგენის შეყვანის მექანიზმია. გიორგი ბაბუაძე 2020 წლის ივნისიდან ტორონტოში, სანიბრუკის ჯანმრთელობის მეცნიერებათა ცენტრის ბიოლოგიურ მეცნიერებათა დეპარტამენტში მუშაობს.

მამუკა მაჩაიძე

ქართველი ფიზიკოსი და ინფექციონისტი, რომელიც ამჟამად აშშ-ში ცხოვრობს და მუშაობს. ჯონ ჰოპკინსის უნივერსიტეტის ექიმი-ინფექციონისტი ქართული საზოგადოებისთვის განსაკუთრებით ცნობილი გახდა კორონავირუსის პანდემიის პერიოდში.

ის სხირად აქვეყნებს კორონავირუსის შესახებ სამეცნიერო მიმოხილვას და დაინფიცირების თავიდან ასარიდებლად საზოგადოებას რჩევებს სთავაზობს. მედიცინის დოქტორი სწორედ კორონავირუსთან დაკავშირებულ კვლევებში იღებს მონაწილეობას. დამთავრებული აქვს ემორის და ნიუ-იორკის უნივერსიტეტები.

გოჩა ხელაშვილი

სხივური თერაპიის სამედიცინო ფიზიკოსი, ფიზიკის აკადემიური დოქტორია, რომელიც უკვე 25 წელია, აშშ-ში მოღვაწეობს. არის სამედიცინო ფიზიკოსი ჩიკაგოში, ერთ-ერთ უმსხვილეს სამედიცინო აკადემიურ ცენტრში.

ამასთან, მისი ჩართულობით ხორციელდება სხივური თერაპიის კურსის დაგეგმარება ონკოლოგიის ცენტრში. გოჩა ხელაშვილს ფიზიკის მიმართულებით ჯონ ჰოპკინსის სახელობის უნივერსიტეტის სამაგისტრო პროგრამა აქვს დამთავრებული, დოქტორის აკადემიური ხარისხი კი ილინოისის ტექნოლოგიურ ინსტიტუტში მიიღო.

სოფია ადამია

აშშ-ში მცხოვრები ქართველი დოქტორი საქმიანობს დან-ფარბერის კიბოს ინსტიტუტსა და ჰარვარდის სამედიცინო სკოლაში.

მისი კვლევის მიმართულებებია: ონკოლოგია, ჰემატოლოგიური ავთვისებიანი სიმსივნეები (ლეიკემია, მიელომა), ადამიანის გენეტიკა, მოლეკულური ბიოლოგია. სამეცნიერო ლიტერატურის ყველაზე დიდ ონლაინ-ბიბლიოთეკა Google Scholar-ზე მისი 140 პუბლიკაცია იძებნება.

თენგიზ გლოველი

გერმანიაში სამუშაოდ 1992 წელს წავიდა - ის ბერლინის საუნივერსიტეტო ჰოსპიტლის Charité-ს ნეიროფიზიოლოგიის ინსტიტუტის პროფესორია, ასევე, ბერლინის ჰუმბოლტის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის ნე-

იროფიზიოლოგიის ინსტიტუტის ლაბორატორიის ხელმძღვანელი.

ნერვული ქსელის ფიზიოლოგიის ლაბორატორიის ხელმძღვანელი თავის ტვინის ნორმალური და პათოლოგიური აქტივობის მექანიზმებს იკვლევს.

მერაბ კოკაია

პროფესიით ფიზიოლოგი, წლებია შვედეთში საქმიანობს. ის დღესდღეობით არის: ვალენბერგის ნევროლოგიის ცენტრის ეპილეფსიის კვლევითი ლაბორატორიის ხელმძღვანელი; 1998 წლიდან - ლუნდის უნივერსიტეტის დოცენტი ექსპერიმენტულ ნევროლოგიაში; 2008 წლიდან - პროფესორი; 2011-დან - ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მონვეული პროფესორი; 2013-დან - ეპილეფსიის ცენტრის დირექტორი;

მერაბ კოკაიას სხვადასხვა სამეცნიერო ჟურნალში 120-ზე მეტი პუბლიკაცია აქვს გამოქვეყნებული. ლაბორატორია, რომელსაც ქართული მეცნიერი ხელმძღვანელობს, კვლევებს ატარებს ნევროლოგიური დაავადებების, კერძოდ, ეპილეფსიის მკურნალობის ახალ მეთოდებზე. ლუნდის უნივერსიტეტის პროფესორია მერაბ კოკაიას უმცროსი ძმა, ზაალ კოკაია. 2010 წლიდან ის შვედეთის მთავრობის მიერ დაფინანსებულ ღეროვანი უჯრედებისა და უჯრედული თერაპიის სტრატეგიულ კვლევით დარგს ხელმძღვანელობს.

თამარ პაზიაშვილი

სტენფორდისა და კალიფორნიის უნივერსიტეტების პროფესორია. რამდენიმე წლის წინ ეპილეფსიის კვლევის საკითხებში შეტანილი წვლილისთვის Michael Prize-ის ჯილდო გადაეცა აღმოჩენისთვის, რომლის საშუალებითაც მღრღნელებს ოპტოგენეტიკის (ნერვული უჯრედების გამოკვლევის ერთ-ერთი მეთოდი, რომელიც შედგება მასში მემბრანების მოთავსებით სპეციალური გზებით "ოპსინებით") დახმარებით ეპილეფსიური კრუნჩხვები უწყდება.

პაზიაშვილმა, ასევე, აღმოაჩინა ნეირონების წრედი, რომელსაც კრუნჩხვების შეჩერება შეუძლია. ის 33 წლის ასაკში სან-ფრანცისკოსა და სტენფორდის უნივერსიტეტების ასისტენტ-პროფესორი გახდა და გლადსტონის ინსტიტუტმა ლაბორატორიის გახსნა შესთავაზა, რომელსაც მისი სახელი დაერქვა (Paz Lab). აღნიშნულ ლაბორატორიაში ადამიანის ტვინსა და ტვინის პრობლემებს იკვლევენ.

ალექსანდრე ესაძე

პოპკინის უნივერსიტეტში ერთ-ერთია მეცნიერთა ჯგუფში, რომელიც შიდსის მკურნალობის უახლეს მეთოდზე მუშაობს.

ახალგაზრდა მეცნიერმა სამედიცინო-სამეცნიერო საქმიანობა 2008 წელს ტეხასის უნივერსიტეტში დაიწყო. მისი საკვლევი მიმართულებებია: დნმ-ის აღდგენა, დნმ-ის გამარტივებული სკანირება, იმუნოლოგია/ვირუსოლოგია/უჯრედის ბიოლოგია. Google Scholar-ზე ალექსანდრე ესაძის 32 ნაშრომის მოძიებაა შესაძლებელი.

გია დვალი

მისი სახელი და გვარი სხვა მეცნიერებთან შედარებით ყველაზე კარგად ნაცნობია ქართული საზოგადოებისთვის. დვალი ევროპის ბირთვული კვლევების ლაბორატორია CERN-ში მიმდინარე დიდი ადრონული კოლაიდერის ექსპერიმენტში მონაწილეობდა, რაც დიდი აფეთქების თეორიის ექსპერიმენტულ მოდელირებას გულისხმობს. სწორედ მასშტაბური კვლევებისა და რევოლუციური თეორიების გამო ქართველი ფიზიკოსი პრესტიჟული სამეცნიერო პრემიის ლაურეატი გახდა.

ამასთან, დვალი მიუხედავად მისი პლანკის ინსტიტუტის სამეცნიერო დირექტორი და ასევე, ნიუ-იორკის სამეცნიერო უნივერსიტეტის პროფესორია თეორიულ ფიზიკაში. ძირითადად, მუშაობს ელემენტარული ნაწილაკების ფიზიკის განხრით. გია დვალის ექსპერიმენტები გერმანიის სამეცნიერო ინსტიტუტმა სამმილიონ-ნახევარი ევროთი დააფინანსა.

ვლადიმერ პაპიტაშვილი

ის ყველაზე გავლენიანი მეცნიერია ანტარქტიდის კონტინენტზე. 1990 წლიდან აშშ-ში საქმიანობს. პაპიტაშვილი ამუნდსენ-სკოტის სამხრეთ პოლუსის სადგურის მთავარი მეცნიერია, ანტარქტიდის კონტინენტზე ამერიკულ სამეცნიერო პროგრამას ხელმძღვანელობს და დედამიწის სამხრეთ პოლუსზე კვლევებს ატარებს.

დედამიწის ყველაზე ცივ კონტინენტზე მდებარე ამერიკულ სადგურში მკვლევარები სპეციალური აპარატით თვეების განმავლობაში იკვლევენ 2000 მ სიღრმეზე გაბურღულ ყინულს. ქართველი ფიზიკოსი და მეცნიერებათა დოქტორი მიჩიგანის უნივერსიტეტში ლექციებს კითხულობს.

ლერი დათაშვილი

20 წელია, გერმანიაში, მიუნხენში ცხოვრობს და მიუნხენის აეროკოსმოსურ ინსტიტუტში საქმიანობს. ის ერთ-ერთი იყო ქართველ კონსტრუქტორთა შორის, რომელთაც პირველი ქართული კოსმოსური ანტენა დაამზადეს - მეცნიერი პირველი კოსმოსური ანტენის პულტზე მუშაობდა.

ახორციელებს ევროპის კოსმოსური სააგენტოს პროექტებს და ამასთან, არის პროფესორი მიუნხენის ტექნიკურ უნივერსიტეტში. დამთავრებული აქვს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტი. გარდა ამისა, ლერი დათაშვილი გერმანიაში ქართველთა სათვისტომოს თავმჯდომარეა.

თეიმურაზ ლომთაძე

25 წელიწადზე მეტია, იტალიის ბირთვული ფიზიკის ეროვნული ინსტიტუტის პიზის დეპარტამენტის ფიზიკოს-ექსპერიმენტატორია.

ამასთან, არის CERN-ის ექსპერიმენტის: კომპაქტური მიონური სოლენოიდის დეტექტორის წევრი. ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორს 2019 წელს იტალიის ელჩმა საქართველოში, ანტონიო ბარტოლიმ მას იტალიის ვარსკვლავის კავალერის ორდენი გადასცა, რომელიც ქართველ მეცნიერს იტალიის რესპუბლიკის პრეზიდენტმა სერჯო მატარელამ მიანიჭა.

არჩილ კობახიძე

ავსტრალიაში, სიდნეის უნივერსიტეტში თეორიული ფიზიკის ასოცირებული პროფესორია 2012 წლიდან. მანამდე იყო ჰელსინკის უნივერსიტეტის მკვლევარი, ასევე მონაწილეობდა კვლევებში აშშ-ში - ჩრდილოეთ კაროლინას უნივერსიტეტში და მელბურნის უნივერსიტეტში.

მისი კვლევები მოიცავს შემდეგ მიმართულებებს: თეორიული ნაწილაკების ფიზიკა, გრავიტაცია და კოსმოლოგია. Google Scholar-ზე კობახიძის 144 ნაშრომს ვხვდებით.

ვახტანგ ქართველიშვილი

ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, CERN-ის ასოცირებული თანამშრომელი და ლანკასტერის უნივერსიტეტის პროფესორია. მეცნიერი წარმატებით უთავსებს ერთმანეთს პედაგოგიურ და კვლევით მოღვაწეობას. სპეციალობით თეორეტიკოსმა ფიზიკოსმა მანჩესტერის უნივერსიტეტში, ლექტორის პოზიციაზე დაახლოებით 25 წლის წინ დაიწყო მუშაობა. ის ასევე ექსპერიმენტული ჯგუფებისთვის მუშაობდა და მათი დავალებით სწავლობდა დეტექტორის ეფექტებს. ვახტანგ ქართველიშვილმა თავისი მეთოდი შეიმუშავა, მისი ნაშრომი 1996 წელს გამოქვეყნდა და ამჟამად 100-ზე მეტ ანალიზშია გამოყენებულია.

ფიზიკოსი CERN-თან (ატომური ფიზიკის ევროპული ცენტრი) თანამშრომლობს: როგორც მანჩესტერის უნივერსიტეტის ექსპერიმენტატორი ჯგუფის წევრი, იგი მუშაობდა CERN-ის წინა ამაჩქარებელის ერთ-ერთი ექსპერიმენტში - OPMM; ასევე, "ატლასის" ექსპერიმენტში და რამდენიმე ანალიზში კვარკოლიუმის ფიზიკის მიმართულებით. ვახტანგ ქართველიშვილის პირველი კონტაქტები CERN-თან მოსკოვში ყოფნის პერიოდს უკავშირდება, როდესაც იგი ასპირანტურაზე სწავლობდა.

ია იაშვილი

ფიზიკის დოქტორი და პროფესორი ნიუ-იორკის სახელმწიფო (ბუფალოს) უნივერსიტეტში. იაშვილმა სადოქტორო დისერტაცია ბერლინში, ჰუმბოლტის უნივერსიტეტში დაიცვა. მისი კვლევის სფეროა მაღალი ენერგიის ფიზიკა, მის სპეციალობაში შედის: ექსპერიმენტული მაღალი ენერგიის ფიზიკა და ნაწილაკების ფიზიკა.

ია იაშვილი და ავთო ხარჩილავა

ავთო ხარჩილავა

ბუფალოს უნივერსიტეტის ფიზიკის დეპარტამენტში კიდევ ერთი ქართველი დოქტორი საქმიანობს, რომლის კვლევის არეალიც მაღალი ენერგიის ექსპერიმენტებია. როგორც იაშვილი, ასევე ხარჩილავა თანამშრომლობენ CERN-თან.

ზურაბ გუგუჩია

დოქტორი ფიზიკის დარგში შვეიცარიის ყველაზე მასშტაბური სამეცნიერო ცენტრის - პოლ შერერის კვლევითი ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი და მაღალი ველის მიუნხენის ლაბორატორიაზე პასუხისმგებელი პირია. პარალელურად მინვეული მეცნიერია პრინსტონის უნივერსიტეტში.

2016-2018 წლებში მუშაობდა ნიუ-იორკში, კოლუმბიის უნივერსიტეტში პოსტდოქტორის პოზიციაზე. ზურაბ გუგუჩიას კვლევები შემდეგ მიმართულებებზე ფოკუსირდება: მაღალტემპერატურული ზეგამტარობის მექანიზმის დადგენა, ახალი თვისებების მქონე ტოპოლოგიური ზეგამტარების და მაგნიტების შესწავლა და ახალი ტიპის მაგნიტური ნახევარგამტარების შექმნა.

ჯერ მხოლოდ 33 წლის ქართველმა მეცნიერმა აღმოაჩინა სრულიად ახალი ტიპის მაგნიტური ნახევარგამტარები. ამასთან, მის სახელს უკავშირდება პრინციპულად ახალი თვისებების მქონე ე.წ. ტოპოლოგიური (გვილის) ზეგამტარული და მაგნიტური ნივთიერებების მიკროსკოპულ დონეზე შესწავლა მიუნხენის სპინის ბრუნვის მეთოდით. Google Scholar-ზე გუგუჩიას 166 ნაშრომი იძებნება.

ესტატე ხმალაძე

ველინგტონში, ახალ ზელანდიაში საქმიანობს და ველინგტონის ვიქტორიას უნივერსიტეტში მუშაობს. ის სტატისტიკოსია და ყველაზე მეტად ცნობილია თავისი - "ხმალადის ტრანსფორმაციით" სფეროში შეტანილი წვლილით. ხმალაძე თბილისიდან სიდნეიში, ავსტრალიაში 1996 წელს, შემდეგ კი ველინგტონში, ახალ ზელანდიაში გადავიდა, სადაც 2002 წელს სტატისტიკის პროფესორად დაინიშნა.

ხმალადის შემოქმედების დამახასიათებელი ნიშანი ერთმანეთისგან დაშორებულ ანალიტიკურ თემებს შორის კავშირის ძიებაა. მისი მათემატიკური კვლევის უმეტესი ნაწილი ემპირიულ პროცესებსა და სტატისტიკური ჰიპოთეზის შემოწმების დროს განაწილებისგან თავისუფალ მეთოდებზეა კონცენტრირებული.

ესტატე ხმალაძე მუშაობს შემდეგი მიმართულებებით: სტატისტიკის გამოყენება, ციტო-გენეტიკა, ფიზიოლოგია, დემოგრაფია და დაზღვევა, ტექსტების სტატისტიკური ანალიზი, ეკონომიკისა და ფინანსების სხვადასხვა პრობლემები.

თეიმურაზ ფირაშვილი

ქართველი მათემატიკოსია, რომელიც 2006 წლიდან დიდ ბრიტანეთში, ლესტერის უნივერსიტეტში მუშაობს - ჯერ ლექტორად, 2007 წლის შემდეგ კი - პროფესორად. ის 1999 წელს ჰუმბოლტის საზოგადოების პრემიის ლაურეატი გახდა.

გარდა ამისა, არის საფრანგეთის რიგი უნივერსიტეტების (სტრასბურგი, ნიცა, ნანტი, მონპელიე, პარიზი) სადოქტორო დისერტაციების ჟიურის წევრი. ფირაშვილი 80-ზე მეტი ნაშრომის ავტორია. ამასთან, არის ჟურნალ "Extracta Mathematicae" სარედაქციო კოლეგიის წევრი. მეცნიერი მონაწილეობს საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმებში, როგორც მომხსენებელი, ასევე, როგორც თანაორგანიზატორი.

ქეთევან მამისიეშვილი

დაახლოებით 20 წელია, აშშ-ში ცხოვრობს. ის აკადემიური და სტუდენტური საკითხების ასოცირებული დეკანი და უმაღლესი განათლების პროფესორია არკანზასის უნივერსიტეტის განათლებისა და ჯანდაცვის კოლეჯში. მაგისტრის ხარისხი მოიპოვა აშშ-ში, მისურის უნივერსიტეტში საგანმანათლებლო ლიდერობისა და პოლიტიკის ანალიზის სფეროში.

2008 წლიდან მუშაობს არკანზასის უნივერსიტეტში სხვადასხვა პოზიციაზე, მათ შორის, რეაბილიტაციის, ადამიანური რესურსების და კომუნიკაციის დეპარტამენტის ხელმძღვანელად. ქეთევან მამისიეშვილს არაერთი სამეცნიერო ნაშრომი აქვს გამოქვეყნებული წამყვან ჟურნალებში. ამასთან, არის ორი საერთაშორისო კონფერენციის მიმომხილველი და უმაღლესი განათლების მიღების ასოციაციის ერთ-ერთი სხდომის თავჯდომარე.



შენიშვნა 11.08.2015 / 00:19

XX საუკუნის რჩეული ქართველი გამომგონებელი



f ბორის რჩეულოვი (რჩეული) - ამ უცნაური გვარით შევიდა ისტორიაში გამომგონებელი, რომელმაც პირველი ვიდეომაგნიტური ჩამწერის სისტემა შექმნა და 1924 წლის 15 სექტემბერს დააპატენტა. მისი ნამდვილი გვარი რჩეულიშვილი გახლდათ.

ბორისი 1899 წელს, ტიფლისში პირველი კავკასიური სასანგრე ბატალიონის შტაბს-კაპიტან ალექსანდრე გრიგოლის ძე რჩეულოვის ოჯახში დაიბადა. მისი ნათლია ოპერის ცნობილი მომღერალი, ფეოღორ შალიაპინი გახლდათ. რჩეულოვის ბიოგრაფიიდან ცნობილია, რომ შალიაპინი ნათლულს არ ივინწყებდა და სისტემატურად უგზავნიდა საჩუქრებს და პორტრეტებს თავისი ავტოგრაფით. საბუნებისმეტყველო სფეროში მიღებულმა კარგმა განათლებამ გამორჩეული გონების მქონე ყმაწვილში გამომგონებლის ნიჭი გააღვივა და ბორისმა თავის მომავალ სპეციალობად ფიზიკა აირჩია.

მოგვიანებით ბორისმა სწავლა პეტერბურგის ტექნოლოგიურ ინსტიტუტში განაგრძო, მაგრამ სამოქალაქო ომის დაწყების გამო სამხედრო სამსახურში გაიწვიეს. 1918-1920 წლებში ის სახელოსნოების უფროსის მოვალეობას ასრულებდა, ამავე დროს ფოტოკინემატოგრაფიის ბიუროსაც უძღვებოდა. ამ პერიოდს ეკუთვნის მისი პირველი გამოგონება - "მოლაპარაკე კინემატოგრაფი". შემონახულია გამოგონების აღწერილობა, რომელიც 1919 წლის 10 დეკემბრითაა დათარიღებული. მიუხედავად ამისა, პირველი ხმოვანი კინოთეატრი ლენინგრადში, პროფესორ ა. შორინის ხელმძღვანელობით შექმნილი აპარატურით, მხოლოდ 1929 წლის ოქტომბერში გაიხსნა.

1922 წელს მეცნიერმა რუსეთში დააპატენტა მაგნიტური ჩამწერის სისტემა, რომლის საშუალებითაც სატელევიზიო სიგნალი ინერებოდა ლითონის მავთულზე, ან ლითონის სხვა საგანზე.

ოფიციალური კურსი



კონვერტორი

ბოლო სიახლეები

- 11.03.2024 / 11:13
პრემიერის განცხადებით, პრეზიდენტი სეპ-ის საბჭოს წევრების დაკომპლექტების საკითხს თავს არიდებს
- 11.03.2024 / 11:04
აეროპორტების გაერთიანება - თებერვალში ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტში მგზავრთნაკადი 56%-ით გაიზარდა

11.03.2024 / 10:29
პრემიერი - გამოწვევები, რომელიც ჭანდაცვის სამინისტროს წინაშეა, ძალიან ბევრია

ვევლა სტატია >>

რამომხდებულ



09.03.2024 / 12:49
სად გაიფხვრა და გაძვირდა ბინები ყველაზე მეტად 2023 წელს ?



09.03.2024 / 11:15
რამდენიმე დღეში თბილისში ახალი ბრენდი გამოჩნდება -



ოჩუქოვს გასაოცებისათვის აოაფის უცაღა. გააკვეული აფიოიადის გასაფლოაფი ფიზიკოსი ამაოდ ცდილობდა სახელმწიფო ორგანოების დაინტერესებას, მერე კი, იტულებული გახდა სატელეფონო ქარხანაში დაეწყო მუშაობა. ცნობილია, რომ ბორის რჩეულოვი სამუშაო ადგილს ხშირად იცვლიდა, მაგრამ სადაც უნდა ემუშავა, გამოგონებლის ნიჭსა და უნარს ყველგან ამჟღავნებდა. გარდა ზემოთ დასახელებული გამოგონებებისა, ბორის რჩეულოვს სხვა მნიშვნელოვანი გამოგონებებიც ეკუთვნის, რომელთა შორის უნდა გამოვყოთ ელექტროლიტური კონდენსატორი, კანიფოლით შევსებული სარჩილაფი მათუული, ასევე - სამხედრო დანიშნულების ელექტრონული მონყბილობები და ტელევიზიისათვის განკუთვნილი ხელსაწყობები.

ბორის რჩეულოვი ლენინგრადის ბლოკადის დროს გარდაიცვალა.


ხათუნა ჩიგოვიძე




08.03.2024 / 13:27
„შიიდეს უაზრო დადგენილება, რომელმაც სერიოზული კრიზისი შექმნა“ - „ახლა ცდილობენ ამ კრიზისიდან გამოვიდნენ“




08.03.2024 / 13:00
10 ყველაზე ძვირად ღირებული პროექტი, რომლის განხორციელებასაც მუნიციპალური განვითარების ფონდი წელს გეგმავს
ანალიზი



01.03.2024 / 19:01
ინდოეთი - მსოფლიოს ყველაზე სწრაფად მზარდი ეკონომიკა



28.02.2024 / 16:00
„სახელმწიფომ უფრო ფემტურად უნდა გამოიყენოს ე.წ. „სოციალური ქოლგა“ - უთანასწორობის პრობლემები საქართველოში



12.02.2024 / 17:04
ადამიანები ცხოველების საკვებით იკვებებიან, ბავშვების 15% კი ქრონიკულად შიმშილობს -

გააკეთეთ კომენტარი

SS GE



ლექტოპი Lenovo Ideapad 5 Pro, 32GB Ram, 1TB SSD, with official Windows 11



მისაღები ოთახის დივანი



იყიდება 1 ოთახიანი ბინა ბათუმში




იყიდება 3 ოთახიანი ბინა დიდუბეში

გაწიარება

როგორ მოხდებ აქ

ეიძინე დანაზოგით



პარკ პოტელ ნინანდალი • PARK HOTEL TSINANDALI

ნინანდალის მამულში ნომერი 2 სტუმარზე საუბით,ენ სემონინ

221 ლ
175 ლ დაზოვე 46 ლ



გუდაურა • GOODAURA

გუდაურში 2 სტუმარზე აივნიანი ნომერი, საუბზე, აუზი და

492 ლ
195 ლ დაზოვე 207 ლ



ზუზუნი ZUZI

ნომრ და დი

249 ლ
168 ლ



„სკოლებში რა ხდება საერთოდ? ცოტა აზრზე მოდიოთ!“ - რა ვიდოსს აქვეყნებს თი მაჭავარიანი ბულინგის შესახებ, რომელიც მის შვილს შეეხო
palitravideo.ge



მძიმე კადრები ოდესიდან- რუსულმა მზარემ საცხოვრებელი დაბომბა, დაღუპულებს შორის ორი ბავშვი- 3 თვის ჩვილი მამველებმა დედის ცხედართან
palitravideo.ge



გამორჩეული ხელის თხოვნა - ქართველი წყვილის კადრები ვირუსულად ვრცელდება
palitravideo.ge



ბიზნესი

ფინანსები

ეკონომიკა

დეველოპიზმი

ანალიზი

პერსონა

შეჯავი მოწევა

START-UP

ბიზნეს ლიბერაჟურა



პრემიერი - ზურაბ ადგიშვილის ვიზიტი ბრიუსელში არის თავდასხმა ევროპულ ღირებულებებზე, მათ შორის სამართლის უზენაესობის, www.interpressnews.ge



ირაკლი კობახიძე - ფასებთან დაკავშირებით მანიპულაციურად ქვეყნდება გარკვეული ციფრები, სინამდვილეში 2012 წლიდან არის 66%-იანი ზრდა - ეს www.interpressnews.ge




უცხოეთი




04.03.2024 / 14:16

გერმანიაში ლტოლვილები საზოგადოებრივი სამუშაოებით დაბრუნდებიან



16.02.2024 / 13:59

ილონ მასკის X-ს ტერორისტებისგან თანხის აღებაში ადანაშაულებენ



12.02.2024 / 13:29

ღია კოსმოსში პირველი ტურისტების გასეირნება მაფხულისთვის გადაიდო

დაგროკოპიტი კონსონს
კალკულატორი



ბიზნესი

ფინანსები

ეკონომიკა

ტექნოლოგიები

ანალიტიკა

პერსონა

უძრავი ქონება

START-UP

ბიზნეს ლინქაუტურა

რეკლამის დამატება



მომსახურება

გაიკვანი შენი მომსახურება ss.ge-ის შრავალრიცხოვან აუდიტორიას [საუკუნის რჩეული](#)



დაისვინა ზამთარში

დაათვალიერე ბინები ზამთრის კურორტებზე და გაატარე დაუვიწყარი წუთები [საუკუნის რჩეული](#)



შხინილი ახალ წელს ახდენილი ოცნებით X2 Development-ის ყველა პროექტში წლის ყველაზე დიდი შეთავაზებები დაიწყო [საუკუნის რჩეული](#)

ROGOR.GE




როგორ დაიკლო წონაში ნანუკა გულუამ



როგორია ზოდიაქოს 5 ნიშანი, რომელსაც საუკეთესოდ შეუძლია საკუთარი თავის დაცვა



როგორ შეარჩიო გარცხნილობა ონლაინ: 3 აპი გარეგნობის შესაცვლელად



იყიდება 2017 წლიანი Nissan Sentra რუსთავში



მთავარი

ჩვენ შესახებ

რეკლამა

მასალები ინტერნეტ-მარკეტინგის სფეროში

ახალი მასალები გამოცემის მიზნით

თბილისი, თბილისის ქ. 49

ტელ: +995 577 2 35 65 98

საიტის მფლობელი

2018

Malibu რუსთავში



იყიდება 2020 წლიანი Honda Accord რუსთავში